| 21 | 13 3 1 3 1 2 2 |
| 22 | 11 3 2 3 4 2 |
| 23 | 9 7 2 7 2 |
| 24 | 1 2 10 2 7 |
| 25 | 2 3 1 14 |
| 26 | 1 1 1 2 8 2 |
| 27 | 1 3 1 7 3 |
| 28 | 1 1 1 1 1 2 2 7 2 |
| 29 | 1 3 1 7 2 3 2 |
| 30 | 1 1 1 2 8 6 3 |
| 31 | 2 3 1 14 3 3 1 1 |
| 32 | 1 2 10 2 2 1 2 1 |
| 33 | 9 6 2 2 2 3 |
| 34 | 11 2 2 2 3 3 3 |
| 35 | 13 3 2 2 3 10 |
| 36 | 13 4 1 2 4 6 3 |
| 37 | 2 7 2 9 2 4 5 2 |
| 38 | 3 5 3 3 1 2 4 4 2 |
| 39 | 4 3 1 3 1 3 4 3 |
| 40 | 10 1 1 1 1 3 3 3 |
| 41 | 8 1 3 1 3 2 3 |
| 42 | 1 1 3 1 3 1 |
| 43 | 7 1 2 4 2 |
| 44 | 2 3 8 |
| 45 | 2 2 5 |
| 46 | 2 2 2 1 |
| 47 | 2 3 4 2 |
| 48 | 2 13 |
| 49 | 10 4 |
| 50 | 3 5 2 |

| სტრიქონი | |
|---|---|
| 1 | 4 7 5 |
| 2 | 6 2 2 7 |
| 3 | 3 4 4 4 |
| 4 | 3 5 3 3 5 3 |
| 5 | 2 6 1 1 1 1 6 2 |
| 6 | 2 6 3 3 6 2 |
| 7 | 2 6 1 6 2 |
| 8 | 2 6 6 2 |
| 9 | 2 7 1 7 2 |
| 10 | 2 7 7 3 |
| 11 | 3 4 5 4 3 |
| 12 | 6 2 2 6 |
| 13 | 4 2 2 4 |
| 14 | 4 3 |
| 15 | 6 6 |
| 16 | 7 8 |
| 17 | 4 3 3 4 |
| 18 | 7 4 4 8 |
| 19 | 1 2 11 1 1 |
| 20 | 1 3 1 10 1 3 1 |
| 21 | 1 1 1 1 4 4 1 1 1 1 |
| 22 | 1 3 1 9 1 3 1 |
| 23 | 1 1 7 1 1 |
| 24 | 7 6 7 7 |
| 25 | 7 8 |
| 26 | 5 3 |
| 27 | 6 8 7 4 |
| 28 | 13 5 10 3 |
| 29 | 3 8 7 3 3 2 |
| 30 | 3 3 6 4 2 3 6 3 2 |
| 31 | 2 5 2 3 1 2 3 8 4 2 |
| 32 | 2 2 2 3 2 1 1 1 7 9 |
| 33 | 2 2 3 2 4 3 2 6 6 |
| 34 | 2 1 1 4 5 2 3 1 4 4 |
| 35 | 2 2 2 1 3 2 2 5 3 |
| 36 | 3 2 2 1 1 1 7 1 3 |
| 37 | 3 2 1 4 2 2 1 12 3 |
| 38 | 1 2 3 1 3 2 1 1 11 4 |
| 39 | 1 2 2 4 2 2 2 1 3 8 |
| 40 | 2 1 2 2 2 3 3 7 |
| 41 | 2 2 2 1 2 2 2 4 |
| 42 | 2 3 4 1 2 3 1 2 3 |
| 43 | 2 4 5 1 1 4 2 2 |
| 44 | 7 3 1 1 2 2 2 |
| 45 | 2 4 1 4 2 |

### მეორე ნახატში თქვენ გევალებათ:

1) გათალოთ ფანქარი და მოიმარჯვოთ საშლელი (ე.წ. „პასტით“ ნუ დაიწყებთ გაფერადებას, რადგან მოსალოდნელია ბევრი შეცდომის დაშვება).

2) ამოხსენით ნახატი და მოგვახსენოთ მისი პერსონაჟების ვინაობა (1 ქულა).

3) გვითხარით, რა ანგარიშია დაფიქსირებული ორთაბრძოლაში (1 ქულა);

4) რა გვარია ის მწერალი, რომლის ფანტაზიის ნაყოფიც გახლავთ დღევანდელი ორთაბრძოლის მსაჯი (3 ქულა).

5) დაგვირეკეთ **პარასკევს**, გაზეთის გამოსვლის დღეს, 10 მაისს, საღამოს 20-დან 21 საათამდე

(გასული ტურის შედეგები იხილეთ მე19 გვერდზე)

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 5 | 6 | 4 | 7 | 5 | 8 | 9 | 10 | 11 | ■ | 4 | 33 | 12 | 2 | 6 | 4 | 13 | 14 |
| 15 | ■ | 4 | ■ | 4 | ■ | ■ | ■ | 4 | ■ | 16 | ■ | 4 | ■ | ■ | ■ | 15 | ■ | 10 |
| 12 | 2 | 17 | 4 | 1 | 14 | ■ | 4 | 18 | 6 | 14 | 11 | 19 | 4 | ■ | 20 | 11 | 12 | 2 |
| 14 | ■ | 4 | ■ | 13 | ■ | 21 | ■ | 4 | ■ | 5 | ■ | 3 | ■ | 22 | ■ | 10 | ■ | 23 |
| 19 | 4 | 12 | 24 | 4 | 1 | 14 | 4 | ■ | 4 | 12 | 13 | 4 | 19 | 11 | 1 | 11 | 9 | 14 |
| 4 | ■ | 4 | ■ | 6 | ■ | 15 | ■ | 25 | ■ | 14 | ■ | 33 | ■ | 10 | ■ | 26 | ■ | ■ |
| 33 | ■ | ■ | 4 | 13 | 12 | 11 | 7 | 14 | 4 | ■ | 10 | 2 | 14 | 3 | 1 | 14 | 27 | 14 |
| 11 | ■ | 4 | ■ | 14 | ■ | 10 | ■ | 28 | ■ | 29 | ■ | 3 | ■ | 11 | ■ | 4 | ■ | 30 |
| 1 | 2 | 3 | 4 | ■ | 33 | 14 | 1 | 4 | 19 | 11 | 19 | 2 | 13 | 12 | 14 | ■ | ■ | 14 |
| 4 | ■ | 26 | ■ | ■ | ■ | 1 | ■ | 1 | ■ | 5 | ■ | 10 | ■ | 33 | ■ | 31 | ■ | 10 |
| ■ | 32 | 4 | 13 | 2 | 26 | 11 | 12 | 14 | 4 | ■ | 15 | 14 | 27 | 14 | 32 | 4 | 13 | 11 |

| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ | თ | ი | კ | ლ | მ | ნ | ო | პ | ჟ | რ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | | | 2 | | | | | | | | 1 | | | | |
| ს | ტ | უ | ფ | ქ | ღ | ყ | შ | ჩ | ც | ძ | წ | ჭ | ხ | ჯ | ჰ | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |

### საბავშვო კროსვორდების მოყვარულთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის გამოშვების ერთთვიანმა პაუზამ ბევრი ისეთი მასალა დააგროვა, რომელთა გამოქვეყნებასაც თანდათანობით ვაპირებდით, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო, იძულებულნი ვართ შემჭიდროებულ ვადებში ვბეჭდოთ. ამის გამო, სამწუხაროდ, დროებით, გაუქმდა საბავშვო კროსვორდების გვერდი. მის აღდგენას შევძლებთ საკროსვორდო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ და ვეცდებით უფრო საინტერესო და შემეცნებითი გავხადოთ ჩვენი პატარებისათვის განკუთვნილი ქმნილებები.

# მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი

## გამოშვება №40




**დაიბადა 1975 წლის 17 დეკემბერს.**

* * *

- თითქმის 13 წელია მილა იოვოვიჩი კინოგადაღებებში მონაწილეობს, მაგრამ მხოლოდ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში მისცა მას საშუალება ლიუკ ბესონმა (მისმა ყოფილმა ქმარმა), დაემტკიცებანა, რომ იგი ნამდვილი მსახიობია.

- იგი იყო მთავარი გმირების შემსრულებელი ისეთ კატასტროფულად ძვირ სურათებში, როგორიცაა „მეხუთე ელემენტი“ და „ჟანა დ,არკი“.

- გაეყარა ორ ქმარს.

- შექმნა ორი როკ-ჯგუფი.

- გამოუშვა ალბომი „ღვთაებრივი კომედია“ (თავად შექმნა სიმღერების ტექსტი და თავადვე შეასრულა ვოკალის და გიტარის პარტიები).

- შუალედებში კი მონაწილეობდა ორ უდიდეს სარეკლამო კამპანიაში (**Calvin Klein и 1’Oreal**)

* * *

**- ვინ იყო თქვენი ბავშვობის ოცნების გმირი?**

- ახლავე გავიხსენებ... მგონი, ვოლტერი.

**- ვოლტერი?! იგი ხომ არცთუ სახარბიელოდ მოიხსენიებდა ჟანა დ,არკს?**

- ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებ... შეიძლება ითქვას, ვოლტერის იდებზე გავიზარდე... ბოლოსდაბოლოს მასაც გააჩნდა უფლება, საკუთარი აზრი ჰქონოდა ნებისმიერი ადამიანის შესახებ! ხომ გახსოვთ ასეთი გამონათქვამი: „თავად უნდა წარმოადგენდე ვინმეს, რომ ვინმეს შესახებ აზრი გამოთქვა“.

**- როდის გაიგეთ ჟანა დ,არკის არსებობა?**

- მე მას, მგონი, ყოველთვის ვიცნობდი. არ ვიცი, რამდენად იცნობენ მას ამერიკაში, მაგრამ ჩემი მშობლები ევროპელები არიან და... თავად მოგეხსენებათ... (*მილას დედა, გალინა, რუსია, მამა, ბოგიჩი კი ჩერნოგორიიდანაა; თავად მილა კიევში დაიბადა*).

**- სხვა რომელი ფილმები გინახავთ ჟანა დ,არკის შესახებ?**

- მინახავს ფილმი ინგრიდ ბერგმანის მონაწილეობით (რეჟ. ვიქტორ ფლემინგი, 1948 წ.) და „ჟანა დ,არკის ვნებანი“ (მუნჯი ფილმი, 1928 წ); სწორედ ეს უკანასკნელი მომეწონა და საერთოდ ვფიქრობ, რომ ხმოვანმა კინომ ჟანას უფრო მეტი ზიანი მოუტანა, ვიდრე სარგებელი. მსახიობები ყოველივე ამას მეტისმეტად სერიოზულად ასრულებენ, ჩვენი მიზანი კი იყო რეალური, ნამდვილი ჟანა გვეჩვენებინა, რომელშიც ადამიანები საკუთარი თავის ძიებას დაიწყებდნენ; ადრეულ ფილმებში იგი სულ განსჯაში და ეჭვებში გამოკეტილი მოჩანდა, მე მგონია, რომ ეს იყო მოქმედების ადამიანი, ვინც უფრო ინსტინქტებსა და იმპულსებს ემორჩილებოდა. ჩვენ არ გვაინტერესებდა ჟანას წმინდანობა (სხვათა შორის, მისი წმინდანად შერაცხვა მხოლოდ 1928 წელს მოხდა), არც ის გვაღელვებდა, რომ ამ პიროვნებას თითლისმასავით უმზერდნენ და ბრძოლაში მისი სახელით მიდიოდნენ. მითი ჟანა დ,არკის შესახებ ყოველ ეპოქაში იცვლება და ეს ბუნებრივიცაა.

**- იცით, მე მგონია, რომ თქვენ მას რაღაცით ჰგავხართ კიდეც!**

- რა თქმა უნდა, ვგავარ! მეც ისეთივე იმპულსური და ვნებიანი ვარ... ბევრ ქალს შეუძლია ასე თქვას და იფიქროს ჟანას შესახებ, ამიტომაცაა, რომ იგი ყოველთვის თანამედროვედ გამოიყურება. დღეს მას შეეძლო მეცნიერი ყოფილიყო და მარადიული კითხვების პასუხი მოეძია სამყაროში ისე, რომ ღმერთისაკენ არც-კი გაეხედა. მეცნიერება დღეს ხომ თავისთავად ახალი რელიგიაა.

**- ის, რასაც თქვენ ამბობთ, ჯოდი ფოსტერმა გააკეთა ფილმში „კონტაქტი“.**

- დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ. მე-15 საუკუნის დასაწყისში წარმოდგენა სამყაროს შესახებ ძალზედ ბავშვური იყო. ზრდადასრულებულ და ჭკვიან ადამიანებს ისევე სწამდათ სასწაულების, როგორც ახლა სჯერათ ბავშვებს ზღაპრული სამყაროს არსებობა. ეს ადამიანები ნატრობდნენ, რომ სიკვდილის შემდეგ ზეციურ სამყაროში მოხვედრილიყვნენ და ამ მიზნით სხვა ადამიანებს წვავდნენ და ხოცავდნენ, ცხოვრებას უმწარებდნენ ერთმანეთს. მე მგონია, ჟანა იმიტომ ეძებდა პასუხს ზეცაში, რომ ადამიანთა სამყარო საშინლად არასრულყოფილი და არალოგიკური იყო მაშინ.

**- თქვენ თუ გაქვთ რაიმე პასუხი ყოფიერების ამოუცნობი საკითხების შესახებ?**

- საქმეც ამაშია, რომ, რაც უფრო დიდხანს ვცოცხლობ, მით უფრო გაოცებული ვარ, თუ რა ცოტა რამ ვიცი ქვეყნიერების შესახებ, თუმცა მე ყოველთვის მჯეროდა და მჯერა მხოლოდ საკუთარი თავის და იმედიც მხოლოდ ჩემში მეგულება.

**- რა მიგაჩნიათ თქვენი კარიერის უმთავრეს მიღწევად მას შემდეგ, რაც 9 წლის ასაკში მოდელი გახდით და 15 წლისამ მონაწილეობა მიიღეთ ფილმში „ცისფერ ლაგუნაში დაბრუნება“?**

- ვიმედოვნებ, რომ არცთუ ცუდი მსახიობი ვარ, ორიოდე კარგი ფირფიტაც გამოვუშვი. გარდა ყოველივე ამისა, მე საბოლოოდ ჩამოვყალიბდი ემოციურობის თვალსაზრისით და ამაში დიდი წვლილი სწორედ ჟანას მიუძღვის.

**- როგორ გაჩნდა ფილმის იდეა?**

- მას შემდეგ, რაც „მეხუთე ელემენტი“ დავამთავრეთ, მე ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ფოტოგრაფის, პაოლო როვერსის გადაღებებში ვმონაწილეობდი. მის ფოტოებზე მე ერთგვარი „მეომარი“ ქალის, ოლიმპიური ღმერთის თუ მუზის მსგავსი იმიჯი შემიქმნეს; იქ არ ვიყავი არც ქალის და არც კაცის მსგავსი, უფრო მეტიც - საერთოდ არ ვგავდი „ამქვეყნიურ“ არსებას... როცა ლიუკ ბესონმა ეს ფოტოები იხილა, მას უმალ დაებადა რაღაც იდეა და ეს „რაღაც“ ჟანა დ,არკი აღმოჩნდა! მან დაუყოვნებლივ დაიწყო მასალების შეგროვება ამ გმირის შესახებ, იგი საოცრად აღფრთოვანებული და შთაგონებული იყო, ეს საერთოდ ახასიათებს ამ რეჟისორს - თუ მთლიანად არ ჩაიძირა თავის იდეაში, მას არაფერი გამოსდის. და ლოგიკურიც იყო, რომ ფრანგ კაცს გადაეღო ფილმი საფრანგეთის ეროვნული გმირის შესახებ.

**- კეტრინ ბიგელოუს რაღა დაემართა? ამბობენ მას უნდა გადაეღოო ეს ფილმი და ამიტომაც ერთი წელია ბესონთან სასამართლო პროცესი აქვს გამართული.**

- ყველაფერი ძალზედ უცნაურად მოხდა; მე კეტრინთან გავიარე კინოსინჯები, ბესონი მას ბევრ რამეში დაეხმარა, როგორც პროდიუსერი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მიხვდა, რომ არ შეუძლია პროდიუსერობა გაუწიოს იმას, ვისზედაც სრული პასუხისმგებლობა არ გააჩნია. მართალია, პირველი სცენარი ბიგელოუმ მიიღო, მაგრამ დიდი ინტერესი არ გამოუჩენია მის მიმართ და გადაღებების დაწყებას აჭიანურებდა კიდეც, ბესონმა კი, უკვე არსებულის საფუძველზე ხელახლა დაწერა სხვა სცენარი და ხარისხობრივად ბევრად გააუმჯობესა კიდეც... ბიგელოუმ თავად არ იცოდა, რა სურდა: ხან მე მამტკიცებდა როლზე, ხან კლერ დეინსს იწვევდა, ერთხელ ისიც თქვა - 30 წლის ქალს უნდა ვათამაშოო ეს როლი.. და ბესონი შეეშინდა ამგვარი ორჭოფობის გამო.

**- ალბათ, ძნელია იმ ფილმზე საუბარი, რაც ყოფილ ქმართან ერთად შექმენით?**

- ცხოვრებაში ბევრი უცნაური რამ ხდება. როცა საქმე გრძნობებს ეხება, არ შეიძლება ყველაფერი გამარტივდეს და „თეთრად და შავად“ დაიშალოს. ჩვენს შემთხვევაში განშორება არ იყო ძალზედ მტკივნეული, ჩვენ საუკეთესო მეგობრებად დავრჩით. ასე რომ, ყველაფერი ნორმალურად წარიმართა.

**- ლილუ „მეხუთე ელემენტში“ და ჟანა დ,არკი, ასე ვთქვათ, მოქმედების ადამიანები არიან. თქვენ ასეთივე სულისკვეთებით აპირებთ გაგრძელებას?**

- იცით, იმდენ უცნაური ქალის როლი მაქვს ნათამაშები, რომ ხალხს მეც არანორმალური ვგონივარ. მოზარდობის ასაკში ერთადერთი სურვილი მქონდა, რომ ისეთი ადამიანების როლები შემესრულებინა, ვისაც ხალხი „ნორმალურად“ თვლის, უცნაურობა და გადარევა უფრო ცხოვრებაში, მეგობრებთან ერთად მიყვარდა, კინოს კი სხვაგვარად ვუცქერდი. როცა ამ საქმის პროფესიულ დონეზე შესწავლა დავიწყე, ძალიან მალე მომბეზრდა „მთავარი გმირის საყვარელი ქალის“ ან „წვეულების პირველი ლამაზმანის“ ამპლუა. მე მოვისურვე საინტერესო, სახასიათო ქალების როლების თამაში და ერთხანს სტერეოტიპიც კი ჩამოყალიბდა ჩემში ასეთი პარსონაჟების განსახიერებისა... ამიტომაცაა, რომ ახლა სრულიად „ნორმალური“ ადამიანის სახეს დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.




**- გინდათ ახალი მიშელ პფაიფერი გახდეთ?**

- ო, პფაიფერი სუპერმსახიობია!

**- შეიძლება ვიფიქროთ, რომ თქვენი მომავალი ფილმი რომანტიული კომედია იქნება?**

- ო, ეს გენიალური იქნებოდა! - სასიამოვნო და მსუბუქი ფილმი...

**- ჰარისონ ფორდთან ერთად?**

-ოი, არა!

**- უფრო ახალგაზრდასთან?**

- დიახ, თუ ეს შესაძლებელია. მართალი რომ გითხრათ, მე ჯერ არ ვარ მზად, მონაწილეობა მივიღო ახალგაზრდა, გამოუცდელი, თუნდაც ნიჭიერი, რეჟისორის გადაღებებში. ჯერ ისე არ ვარ დარწმუნებული საკუთარ

თავში, რომ გადასაღებ მოედანზე ვინმეს დავეხმარო; უფრო ხშირად თავად მე მჭირდება ხოლმე დახმარება.

**– არ მოგეჩვენათ უცნაურად, რომ მეძავის როლის შემდეგ („მის თამაშში“) წმინდანის როლი შემოგთავაზეს?**

- მე საერთოდ მახასიათებს უკიდურესობებს შორის მიმოქცევა. რომ დავბერდები, საინტერესო იქნება ნახვა იმ პერსონაჟების განსხვავებულობისა, რაც უკვე ვითამაშე და რასაც მომავალში ვითამაშებ. ეს იმიტომ არ ხდება, რომ მე საკუთარ თავს დიდ მსახიობად ვთვლი და მინდა, რომ სუპერვარსკვლავი გავხდე. მე არავინ მაიძულებს კინოში გადაღებას; როგორც მოდელს, სრულიად დამოუკიდებელი და კარგი ფინანსური მდგომარეობა გამაჩნია და მაქვს თავისუფლება როლების არჩევანში, შემიძლია ვარჩიო ის, რაც მომწონს, რაც ახალს მასწავლის და შემძენს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მე ხასიათებით განსხვავებული ადამიანების როლების თამაში მსურს, რათა ცხოვრება ყოველი მხრიდან შევისწავლო.

**– ისევ წერთ სიმღერებს?**

- დიახ. ახლახან ჩამოვაყალიბე ჯგუფი **Plastic Has Memory**.

**– სამოდელო ბიზნესიდან წასვლას აპირებთ?**

- ერთხელ წავედი კიდეც. სამი წლის განმავლობაში არც კინოგადაღებებში ვმონაწილეობდი და არც სარეკლამო კამპანიით ვიწუხებდი თავს, ვცხოვრობდი ინგლისში და მთელი არსებით მუსიკაში ვიყავი ჩაფლული, იქ საკუთარი ფოლკ-ჯგუფიც კი მყავდა. მერე ფული დამჭირდა და ისევ გადაღებებს მივმართე. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ შემომთავაზეს როლი „მეხუთე ელემენტში“ და მიხვდი, რომ მოდელად მუშაობა უბრალოდ ფიზიკურად მიშლის ხელს იმაში, რომ გადაღებებზე ვიარო. მოდელის ცხოვრება გამუდმებულ მოგზაურობას გულისხმობს, შენ სადღაც მილანსა და, ვთქვათ, ტოკიოს შორის გიწევს ცხოვრება.

**– როგორ გგონიათ: თქვენ კარგი გოგო ხართ, რომელიც საკუთარი გარეგნობის წყალობით მოხვდა კინოში, თუ პირველ რიგში კინომსახიობი ხართ, რომელსაც პერიოდულად იწვევენ სარეკლამო გადაღებებში?**

- მე უბრალოდ ვაკეთებ იმას, რაც საჭიროდ მიმაჩნია. ამას ვაკეთებ იმდენად კარგად, რამდენადაც შემიძლია; ბოლოსდაბოლოს, ეს არის ზუსტად ის, რაც ყველაზე უკეთ გამომდის ცხოვრებაში. ვთქვათ ასე: მანეკენად ვმუშაობ იმისათვის, რომ ფული ვიშოვო და კინოგადაღებებში ვმონაწილეობ, რადგან ეს უკანასკნელი ძალიან მომწონს.

**– მართალია, რომ თქვენი პარტნიორი ჟანა დ,არკში დასტინ ჰოფმანის ნაცვლად ჯეკ ნიკოლსონი უნდა ყოფილიყო?**

- დიახ, მაგრამ მე ბედნიერი ვარ, რომ ჰოფმანთან მომიწია მუშაობა.. იგი დიდებულია! ნიკოლსონიც შესანიშნავი მსახიობია, მაგრამ დასტინს უფრო მეტად უყვარს მუშაობა. ნიკოლსონი კი წინასწარ მოლაპარაკებებს რომ აწარმოებდა, პირველ რიგში იმით დაინტერესდა - არის თუ არა გოლფის სათამაშო მოედნები საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში, სადაც ფილმის გადაღებას ვაპირებდით. მე აღმაფრთოვანებენ ის ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე საყვარელ საქმეს აკეთებენ, არასოდეს კარგავენ მისდამი ინტერესს და ცდილობენ ეს უფრო უკეთ გააკეთონ.

**– მაშ, დასტინ ჰოფმანის შესახებ ვისაუბროთ; რა როლს თამაშობს იგი ფილმში?**

- იგი ჟანას „ცნობიერებას“ ასახიერებს.

**– იმის სურვილი ხომ არ გაგიჩნდათ, რომ დასტინ ჰოფმანი ცხოვრებაშიც თქვენი ცნობიერება იყოს?**

- ო, ეს დიდებული რამ იქნებოდა: ახლა თქვენს კითხვებზე პასუხებს იგი გაგცემდათ და ჩემი კარიერის სამომავლო გეგმების შერჩევაშიც სასარგებლო რჩევებს მომცემდა.

**– როლის მომზადებისას ისტორიულ ფილმებს თუ ნახულობდით, „მამაც გულს“, მაგალითად?**

- არა, როლისათვის მე სხვაგვარად ვემზადები. ბევრჯერ გადავიკითხავ ხოლმე სცენარს და აურაცხელი რაოდენობის რეპეტიციას ვატარებ, ვიდრე ჩემი გმირი მთელი სისრულით არ შემოაღწევს ჩემში. ამ დროს ათასობით ვარიანტს ვამუშავებ საიმისოდ, რომ მომავალი გმირის ყოველი საქციელი მთელი სიზუსტით მქონდეს შესწავლილი. სწორედ ესაა ყველაზე საინტერესო კინოში: გახდე ვიღაც სხვა და ვფიქრობდე იმაზე, თუ ეს „სხვა“ როგორ დადის, როგორ ლაპარაკობს, როგორ იცინის...

მართალია, ჯერ კიდევ არ მაქვს საკმაო გამოცდილება და ხშირად ვუმტკიცებ საკუთარ თავს - „შენ არაფრის გაკეთება არ შეგიძლია, შენ არარაობა ხარ“ - მაგრამ მაინც შემიძლია ის, რომ საკუთარი თავი მოვთოკო და თავი ისე მოვაჩვენო ყველას, თითქოს ყველაფერი ვიცი და ყველაფერი შემიძლია... ჟანას შემთხვევაში კი ყველაზე რთული მისი უბიწოების განსახიერება იყო...

**– ამბობენ, რომ მამათქვენს 20 წლის პატიმრობა და ასობით მილიონი ჯარიმის გადახდა მიუსაჯეს სამედიცინო მაქინაციების გამო?**

- მიჭირს ამ თემაზე საუბარი, იგი ხომ მაინც მამაა ჩემი. ვიტყოდი ასე - გავრცელებულია აზრი, რომ ჩვენ სრულყოფას ტანჯვა-წამების გავლის საშუალებით უნდა მივაღწიოთ, მაგრამ მე არ მსურს ისეთი სისრულე ჩემი ყოფიერებისა, თუ ეს ყველაზე ახლობელი ადამიანის განსაცდელით წარმოიშვება. ის სასჯელი, რაც მამაჩემმა უნდა გადაიტანოს, ნებისმიერ შემთხვევაში სასტიკად მიმაჩნია.



**– მიგაჩნიათ თუ არა საკუთარი თავი უკვე ჩამოყალიბებულ, ზრდადასრულებულ ადამიანად?**

- არ ვიცი, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ზრდადასრულებული ადამიანი გერქვას?! ვიცი მხოლოდ ის, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო და მაქვს კიდევაც სურვილი ყველაფერის შესწავლისა. მაქვს კიდევ იმის სრვილი, რომ გავცე ჩემი უნარი და არ მოვკვდე იმაზე ადრე, ვიდრე ჩემი გაცემული ენერგია უკან არ დამიბრუნდება.

**– ჟურნალმა Rolling Stone-მა თქვენ ერთგვარი მომჟავო გემოს შერწყმა გიწოდათ შერონ სტოუნის და კურტ კობეინის იმიჯისა. თქვენ როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?**

- მართალი რომ გითხრათ, არ მესმის - კომპლიმენტია თუ შეურაცხყოფაა, როცა ამ ორი ადამიანის შერწყმულ „მომჟავო ვარიანტს“ გიწიდებენ. თუმცა კურტ კობეინი მომწონს და დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი მისდამი. იცით, ჟურნალისტური ფორმულირებები ხანდახან ისე უცნაურად ჟღერს, რომ, „დებილების“ გარდა, მას სხვა ვერავინ გაიგებს.

...ყოველი ადამიანი უსასრულობის ნაწილს წარმოადგენს და მისი არსის განსაზღვრა რამოდენიმე სიტყვით თუ შედარებით არასერიოზულობად მიმაჩნია!

...ეგებ შევძლო თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა დაახლოებით 50 წლის შემდეგ, ან იქნებ სასიკვდილო სარეცელზე გავიგო, თუ ვინ ვარ და რას წარმოვადგენ!

...ახლა მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ვარ ადამიანური არსება აქედან გამომდინარე ყველა შედეგით!

## საქროსვორდო ჩემპიონატის პირველი ლიგის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | დანდლიშვილი | 30 | 30 | 29 | 30 | 28 | 29 | 29 | 29 | *27* | *24* | 234 |
| 2. | ბოჭორიშვილი | 28 | 29 | 28 | 29 | 24 | 26 | - | 28 | 27 | - | 219 |
| 3. | კვირიკაშვილი | 22 | 30 | - | 28 | *21* | 30 | 25 | 30 | 24 | 26 | 215 |
| 4. | ზადიშვილი ანა | 25 | *22* | 27 | 27 | 23 | 26 | 25 | 24 | 23 | *20* | 200 |
| 5. | ჭილიტაშვილი დ. | 13 | 25 | 25 | 30 | 29 | 29 | - | - | 22 | 22 | 195 |
| 6. | გიგანი ქეთევანი | 22 | 28 | - | 29 | - | 22 | 19 | 25 | 21 | 25 | 191 |
| 7. | რობიტაშვილი თ. | 14 | 20 | 18 | 27 | 29 | 28 | - | 25 | - | 24 | 183 |
| 8. | ჯუგაშვილი ალ. | 19 | 28 | - | 24 | 19 | 19 | - | 24 | 26 | 23 | 182 |
| 9. | ფრიდონაშვილი. | 20 | 24 | *15* | 20 | *18* | 24 | 23 | 24 | 18 | 22 | 175 |
| 10. | მაისურაძე დ. | 20 | 27 | *10* | 27 | 14 | - | 22 | 23 | 18 | 18 | 171 |
| 11. | კაპანაძე გივი | 21 | 23 | 20 | *19* | 22 | 22 | *15* | 25 | 20 | 17 | 170 |
| 12. | ასპანიძე შალვა | 20 | 24 | *15* | 19 | 22 | 24 | - | 21 | 24 | 15 | 167 |
| 13. | ვეშაგურიძე ი. | 18 | 29 | 16 | 21 | 20 | *16* | *15* | 24 | 24 | 23 | 175 |
| 14. | ნანავა ვახტანგი | 20 | 23 | 20 | 23 | 17 | - | - | 22 | 16 | 19 | 160 |
| 15. | სარიშვილი ზურა | *15* | 19 | 15 | 20 | 19 | 17 | *12* | 16 | 16 | 17 | 139 |
| 16. | ქვარიანი მანანა | 12 | 17 | 12 | 15 | 13 | *11* | *10* | 17 | 13 | 23 | 122 |
| 17. | ცეცხლაძე ავთ. | 10 | - | 7 | 14 | 10 | 11 | 11 | 16 | - | 9 | 88 |
| 18. | ცქვიტარია თ. | 11 | - | 8 | 8 | 12 | - | 9 | 11 | 6 | 10 | 75 |

## დაინტერესებულ პირებს ვაცნობებთ:

ჩვენი გაზეთის 2002 წლის ნომრებში, იმედია, დავასრულებთ, მსოფლიო კინოს 50 გამოჩენილი მსახიობი ქალისადმი მიძღვნილ წერილების ციკლს.

მართალია, ზოგი მათგანის მოხვედრა ამ სიაში (გვინეტ პელტროუ, ეშლი ჯადი, კეიტ უინსლეტი, მილა იოვოვიჩი) უფრო კონიუნქტურული მოსაზრებებითაა განპირობებული, ვიდრე ჭეშმარიტების შესაბამისობით, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს უფრო საინტერესოს ხდის ამ რუბრიკას, ვიდრე იმ მსახიობებზე საუბარი, რომლებმაც 40-70 წლის წინ გააოცეს მაყურებელი (მერი პიკფორდი, ლილიან გიში, ბეტ დევისი და მისთანანი) და ახლა თითქმის აღარავის ახსოვს.

რაც შეეხება ისეთ მარადიულ მსახიობებს (ანა მანიანი, კეტრინ ჰეპბერნი, მერილინ მონრო), მათს შესახებ აუცილებლად ვისაუბრებთ რუბრიკის ზღვრული ციფრის ამოწურვამდე.

იმავე დაინტერესებულ პირებს კი ვთხოვთ მოგვახსენონ თავისი აზრი რუბრიკის ავ-კარგის შესახებ, რათა შემდგომ ერთად ვიფიქროთ ყოველივე ამის ერთ კრებულში თავმოყრის შესაძლებლობაზე.

*მასალა დამუშავებულია „ფანტაზიის“ რედაქციის მიერ*

# მე-20 საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი

365. **თეოდორ რუზველტი**
Roosevelt, Theodor (1858-1919)
აშშ პოლიტიკოსი

დაიბადა ნიუ-იორკში, ჰოლანდიური წარმოშობის, დიდი ტრადიციების მქონე ოჯახში. ჰარვარდში მიღებული უმაღლესი განათლების შემდეგ სწავლა განაგრძო კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1895 წელს ნიუ-იორკის პოლიციის შეფად დანიშნეს. 1897 წლიდან იყო სამხედრო-საზღვაო მინისტრის მოადგილე. 1899 წლიდან გახდა ნიუ-იორკის გუბერნატორი. 1901 წლიდან ასრულებდა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას და იმავე წელს, პრეზიდენტ მაკ-კინლის მკვლელობის შემდეგ გახდა ამ ქვეყნის 26-ე პრეზიდენტი. საგარეო პოლიტიკაში აქტიურად ახორციელებდა ანტიევროპულ ტენდენციას და მათ შორის ანტირუსულს, რაც ბევრ ქმედით ნაბიჯში გამოიხატა (პანამის არხის მშენებლობის დაჩქარება, იაპონიის მხარდაჭერა და ა.შ.). 1906 წელს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ (1909 წ.) განაგრძობდა აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. გამოსცა არაერთი ისტორიული ნაშრომი, რითაც სერიოზული ისტორიკოსის სახელი დაიმკვიდრა.

366. **უოლტ ვ. როსტოვი**
Rostow, Walt W. (1916-)
ეკონომისტი

იყო რუსი ემიგრანტების შვილი, საფუძვლიანი განათლება მიიღო აშშ-ს უნივერსიტეტებში და გახდა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელი. პრეზიდენტ კენედის მმართველობისას იყო მისი ეკონომიკური მრჩეველი. აქტიურად თანამშრომლობდა პრეზიდენტ ჯონსონთანაც; იყო აქტიური ანტიკომუნისტი, გამოაქვეყნა არაერთი ნაშრომი, სადაც სოციალიზმის ბუნება გააკრიტიკა.

367. **კარლ როვანი**
Rowan, Carl (1925-)
ჟურნალისტი

მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, რის შემდეგაც უმაღლესი განათლება მიიღო მინესოტას უნივერსიტეტში. 50-იანი წლებიდან თანამშრომლობდა „მინეაპოლის ტრიბუნთან“ და არაერთი რეპორტაჟი გამოაქვეყნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის შემდეგ. 1961 წელს პრეზიდენტმა კენედიმ იგი ფინეთში წარგზავნა სრულუფლებიან ელჩად; ჯონსონის მმართველობისას იყო აშშ-ს საინფორმაციო სამსახურის უფროსი. მისი მცდელობით შეიქმნა „ამერიკის ხმის“ რადიოსადგური. თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ დაუბრანდა აქტიურ ჟურნალისტიკას, იყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეკომენტატორი.

368. **არტურ რუბინშტეინი**
Rubinstein, Arthur (1887-1982)
პიანისტი

შესანიშნავი პიანისტი არტურ რუბინშტეინი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც პიანისტი მას შემდეგ, რაც 12 წლის ასაკში შედგა მისი დებიუტი ფართო აუდიტორიის წინაშე. იგი დაიბადა პოლონეთში, მაგრამ არასაგასტროლო ცხოვრების უმეტეს ნაწილს პარიზსა და ბერლინში ატარებდა. განსაკუთრებით გაითქვა სახელი შოპენის ნაწარმოებების შესრულებით; სიცოცხლის ბოლომდე, 90 წლის ასაკშიაც არ შეუწყვეტია რუბინშტეინს აქტიური საკონცერტო მოღვაწეობა.

369. **ბერტრან რასელი**
Russel, Bertrand (1872-1970)
მათემატიკოსი, ფილოსოფოსი

დაიბადა ინგლისში; უმაღლესი განათლება მიიღო კემბრიჯის უნივერსიტეტში. გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებასაც ეწეოდა; ითვლება ინგლისური ნეორეალიზმისა და ნეოპოზიტივიზმის ფუძემდებლად; გამოაქვეყნა ნაშრომი - „მათემატიკის საფუძვლები“ - რაც მათემატიკური ლოგიკის დამფუძნებლურ ხასიათს ატარებს. 1950 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში.







370. **დინ რასკი**
Rusk, Dean (1909-)
სახელმწიფო მდივანი

აქტიურ პოლიტიკაში ჩაერთო 1930 წლიდან, მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომში. კორეასთან ომის მსვლელობისას იყო ამ რეგიონში აშშ-ს მთავარი წარმომადგენელი. ომის დამთავრების შემდეგ ერთხანს ჩამოშორდა პოლიტიკას, მაგრამ 1961 წელს პრეზიდენტმა კენედიმ იგი კვლავ იხმო და სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ანდო. მან ეს პოსტი პრეზიდენტ ჯონსონის მმართველობის დროსაც შეინარჩუნა.

371. **რიჩარდ რასელი**
Russell, Richard (1897-1971)
აშშ პოლიტიკოსი

შთამომავლობით იყო აშშ-ს იუსტიციის ერთ-ერთი უმაღლესი ჩინოსნის შვილი; თავადაც იურიდიული განათლება მიიღო და ერთხანს მშობლიურ ჯორჯიის შტატში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. 1927 წლიდან წარმოადგენდა ჯორჯიის შტატს აშშ-ს საკანონმდებლო ხელისუფლებაში. 1932 წლიდან გახდა სენატის წევრი და 60-იანი წლების ბოლომდე მოღვაწეობდა ამ ორგანოში.

372. **ბეიბ რუთი**
Ruth, Babe (1895-1948)
აშშ ბეისბოლისტი

ითვლება სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთ უდიდეს მოთამაშედ. შეიტანა უდიდესი წვლილი ამ თამაშის პოპულარიზებაში; მისი ზოგიერთი მიღწევა დღემდე ხელშეუხებელია.

373. **ერნესტ რეზერფორდი**
Rutherford, Ernest (1871-1937)







ინგლისელი ფიზიკოსი

დაიბადა ახალ ზელანდიაში უბრალო ხელოსნის ოჯახში. იქვე მიიღო დაწყებითი განათლება, უმაღლესი განათლებისათვის კი კანადის მონრეალის უნივერსტეტს მიაშურა. იგი ითვლება ატომის აგებულებისა და რადიაქტიურობის მოძღვრების ერთ-ერთ შემქმნელად. მან პირველმა განახორციელა 1919 წელს პირველი ხელოვნური ბირთვული რეაქცია. 1908 წელს მიენიჭა ნობელის პრემია.




374. **ალბერტ საბინი**
Sabin, Albert (1906-1993)
ამერიკელი ვირუსოლოგი

ფიზიოლოგმა და ვირუსოლოგმა ალბერტ საბინმა ამ მეცნიერებათა განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მისი გამოკვლევები საფუძვლად დაედო იმ ეტაპობრივ აღმოჩენებს, რაც გასული საუკუნის 50-60-იან წლებში განხორციელდა,

375. **ანვარ სადათი**
Sadat, Anwar (1918-1981)
ეგვიპტელი პოლიტიკოსი

დაიბადა ღარიბი ეგვიპტელი გლეხის ოჯახში. 1938 წლიდან დაიწყო სამხედრო სამსახური. მეორე მსოფლიო ომის დროს დაპატიმრებულ იქნა ანტიბრიტანული შეხედულებებისა გამო. 1952 წელს იყო ერთ-ერთი ლიდერი ეგვიპტის ანტიმონარქიული რევოლუციისა. ითვლებოდა პრეზიდენტ ნასერის აქტიურ მხარდამჭერად და მისი სიკვდილის შემდეგ 1970 წლიდან თავად გახდა ქვეყნის პრეზიდენტი. სამოცდაათიან წლებში წინ აღუდგა საბჭოთა ზეგავლენას და სირიასთან ერთად დაიწყო არაბული სამყაროს აქტიური ჩარევა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყო კემპ-დევიდის შეთანხმების მონაწილე, მშვიდობიანი ხელშეკრულება დადო ისრაელთან, 1978 წელს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. მოკლულ იქნა ტერორისტის ხელით.

376. **ანდრეი სახაროვი**
(1921-1989)
რუსი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

დაიბადა შეძლებული ადვოკატის ოჯახში. ბავშვობა და სიჭაბუკე გაატარა მოსკოვში. აქვე, მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება. მეორე მსოფლიო ომის წლებში მუშაობდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გასაიდუმლოებულ საწარმოში. ომის შემდეგ დაამთავრა ასპირანტურა და შეუდგა აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას. ითვლება 1953 წელს შექმნილი წყალბადის ბომბის ერთ-ერთ ავტორად. ამავე პერიოდიდან აქტიურად ჩაერთო ბირთვული იარაღის გამოცდის წინააღმდეგ გამართულ საზოგადოებრივ მოძრაობაში. 60-იანი წლებიდან აშკარა გახდა მისი ანტისაბჭოური შეხედულებები, რის გამოც მიჩნეულ იქნა დისიდენტად და მიესაჯა შინაპატიმრობა ქალაქ გორკიში (ახლა ნიჟნი ნოვგოროდი). 1986 წლიდან, გორბაჩოვისეული გარდაქმნის წლებში მიეცა უფლება დაბრუნებოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მინიჭებული აქვს ნობელის პრემია 1975 წელს.

377. **კარლ საგანი**
Sagan, Carl (1934-1996)
ასტრონომი

კარლ საგანის სამეცნიერო მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი XX საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-ს მიერ განხორციელებულ კოსმოსურ მიღწევებს. 60-იან წლებში იგი ხელმძღვანელობდა ამერიკის უდიდეს ობსერვატორიულ ცენტრებს, იყო კორნუელის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

378. **სალაზარი**
Salazar (1889-1970)
პორტუგალიელი სახელმწიფო მოღვაწე

ანტონიუ დი ოლივეირა სალაზარა თითქმის 40 წლის განმავლობაში ედგა სათავეში პორტუგალიას და ფაქტიურად ამ ქვეყნის ერთპიროვნულ დიქტატორად ითვლებოდა, 1930 წელს მის მიერ შექმნილმა ფაშისტურმა პარტიამ კი დიდი დროის განმავლობაში იბატონა.

Estudio Español

*ესპანური ენის შემსწავლელთათვის*

# მერვე გაკვეთილი (10.05.2002 წ.)

## გრამატიკა

### - ჩვენებითი ნაცვალსახელები

| მამრობითი სქესი | | მდედრობითი სქესი | |
|---|---|---|---|
| მხ. რ. | მრ. რ. | მხ. რ. | მრ. რ. |
| este ეს | estos ესენი | esta ეს | estas ეს |
| ese ეგ | esos ეგენი | esa ეგ | esas ეგ |
| aquel ის | aquellos ისინი | aquella ის | aquellas ის |

Esta cartera es mia - ეს პორტფელი ჩემია.
Esa cartera es tuya - ეგ პორტფელი შენია.

- ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებით სახელს უთანხმდება რიცხვსა და სქესში:

Este periodico es mio - ეს გაზეთი ჩემია (მამრ. სქესი. მხ. რიცხვი).
Esos libros son tuyos - ეგ წიგნები შენია (მამრ. სქესი. მრ. რიცხვი).
Aquellas revistas son suyas - ეს ჟურნალები მისია (მდედრ. სქესი. მრ.რ.)

- esta, ese და aquel შეიძლება დროის დასაზუსტებლადაც გამოიყენებოდეს; ამ შემთხვევაში esta და ese აღნიშნავენ ახლანდელ დროს, aquel კი წარსულს

| | |
|---|---|
| Este tarde - დღეს საღამოს | Aquel dia - იმ დღეს |
| Este mañana - ამ დილით | Aquella tarde - იმ საღამოს |
| Ese dia - მაგ დღეს | Aquel año - იმ წელს |

### - პირის ნაცვალსახელები დამატების როლში

ნაცვალსახელს დამატების როლში ასეთი ფორმები აქვს:

| | |
|---|---|
| me (მე) | nos (ჩვენ) |
| te (შენ) | os (თქვენ) |
| le (თქვენ - ერთ კაცს) | les (თქვენ - კაცებს) |
| la (თქვენ - ერთ ქალს) | las (თქვენ - ქალებს) |
| le (მას, ადამიანს, მამრ. სქესი) | les (მათ - ადამიანებს. მამრ.) |
| lo (მას, საგანს, მამრ. სქესი) | los (მათ - საგნებს. მამრ.) |
| la (მას მდედრ. სქესი) | las (მათ. მდედრ.) |

Luis *me* saluda en la calle - ლუის *მე* ქუჩაში მესალმება
Elena *me* escribe todas las semanas - ელენე *მე* ყოველკვირა მწერს.
Nosostros *te* felicitamos - ჩვენ *შენ* გილოცავთ
Andres *te* regala un ramo de flores - ანდრესი *შენ* თაიგულს გჩუქნის.
*Nos* esperan cerca del metro - (ისინი) *ჩვენ* მეტროსთან გველოდებიან.
Mi madre *os* invita a cenar - დედაჩემი *თქვენ* გიწვევთ სავახშმოდ.

შეადარეთ: Felicito a mi amiga. და *La* felicito - მე ვესალმები ჩემს მეგობარ ქალს. *მას* (*ქალს*) ვესალმები.

| ზმნა - **pedir** - გასვლა **e → i** | **აწმყო დრო** |
|---|---|
| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
| yo pido მე ვთხოვ | nosotros,-as pedimos |
| tú pides შენ სთხოვ | vosotros,-as pedis |
| Vd. pide თქვენ სთხოვთ | Vds. piden |
| él pide ის (კ.) სთხოვს | ellos piden |
| ella pide ის (ქ.) სთხოვს | ellas piden |

ამავე ზმნის მსგავსად იუღლება: elegir (არჩევა), repetir (გამეორება), servir (მომსახურება), reir (სიცილი), medir (გაზომვა), competir (წინააღმდეგობის გაწევა, შეჯიბრი), vestir (ჩაცმა).

El señor Lopez pide una revista al profesor - სენიორ ლოპესი ჟურნალს სთხოვს მასწავლებელს.
Vd. me pide un lapiz y papel - თქვენ მე მთხოვთ ფანქარს და ქაღალდს.
Yo le pido perdon - მე მას (კაცს) ვთხოვ პატიებას.

| ზმნა - **poner** - დადება, გამართვა, მოწყობა | **აწმყო დრო** |
|---|---|
| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
| yo pongo | nosotros,-as ponemos |
| tú pones | vosotros,-as poneis |
| Vd. pone | Vds. ponen |
| él pone | ellos ponen |
| ella pone | ellas ponen |

poner atencion (ყურადღების მომართვა), poner cuidado (სიფრთხილის გამოჩენა), poner interes (ინტერესის გამომჟღავნება), poner la mesa (მაგიდის გაწყობა), poner la television (ტელევიზორის ჩართვა).

Hoy ponen una pelicula muy buena - დღეს აჩვენებენ ძალიან კარგ ფილმს.

| ზმნა - **venir** - მოსვლა, ჩამოსვლა | **აწმყო დრო** |
|---|---|
| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
| yo vengo მე მოვდივარ | nosotros,-as venimos |
| tú vienes შენ მოდიხარ | vosotros,-as venis |
| Vd. viene თქვენ მოდიხართ | Vds. vienen |
| él viene ის (კ.) მოდის | ellos vienen |
| ella viene ის (ქ.) მოდის | ellas vienen |

Mi padre cumple hoy 60 años. Celebramos alegremente este acontecimiento en un restaurante. Somos 12 personas. la familia y algunos amigos de casa. La sala donde comemos no es grande, pero es bonita y acogedora. En la mesa hay un cubierto para cada comensal. Cada cubierto tiene: 2 platos, una servilleta, dos cuchillos y una cuchara a la derecha y dos tenedores a la izquierda. Delante de los platos hay 3 copas: una para el agua y las otras para el vino. El camarero nos pregunta:

— ¿Quieren comer al cubierto o a la carta?
— ¡A la carta, a la carta! — le contestamos —. Hoy es una gran fiesta. El cumpleaños del cabeza de familia.

El camarero pone el menú sobre la mesa y cada uno de nosotros elige a su gusto. De entremeses: caviar, setas, jamón, salchichón, pepinillos, ensaladillas, etc. De primer plato o plato fuerte unos piden carne y otros pescado fresco.

—¿Qué vinos les sirvo?
—Vinos secos: blanco para el pescado y tinto para la carne.
—¿No quieren vodka?
—Sí, una copita para empezar.
—¿Y agua mineral?
—También. Ocho o diez botellas.
—¿Qué desean de postre?
—Fruta y helado. Después café y licores.

Cuando el camarero nos sirve los postres pone platos y cuchillos para la fruta, cucharillas para el helado y copas para los licores.

El servicio es esmerado, los platos sabrosos y abundantes, los vinos excelentes y el ambiente muy agradable. Todos felicitamos a mi padre, le deseamos muchos años de vida, brindamos por su salud, por la salud de todos y por la paz en el mundo entero.

| | | | |
|---|---|---|---|
| **comida** *f* | - სადილი | **camarero** *m* | - ოფიციანტი |
| **cumplir** | - შესრულება (ითქმის ასაკის შესახებ) | **fiesta** *f* | - ზეიმი |
| | | **menu** *m* | - მენიუ |
| **año** *m* | - წელი | **entremeses** *m* | - საჭმელი |
| **cumpleaños** *m* | - დაბადების დღე | **caviar** *m* | - ხიზილალა |
| **celebrar** | - აღნიშვნა | **setas** *f pl.* | - სოკო |
| **acontecimiento** *m* | - მოვლენა, ამბავი | **jamón** *m* | - შაშხი |
| **persona** *f* | - ადამიანი, პიროვნება | **salchichón** *m* | - ძეხვი |
| **acogedor** | - მყუდრო | **pepinillo** *m* | - კიტრი |
| **cubierto** *m* | - სამაგიდო მოწყობილობა, დანა-ჩანგლის კომპლექტი | **ensalada** *f* | - სალათი |
| | | **carne** *f* | - ხორცი |
| **comensal** *m* | - ის, ვინც სადილობს | **pescado** *m* | - თევზი |
| **plato** *m* | - თეფში | **fresco** | - ახალი |
| **servilleta** *f* | - ხელსახოცი | **botella** *f* | - ბოთლი |
| **cuchillo** *m* | - დანა | **desear** | - სურვილი |
| **cuchara** *f* | - კოვზი | **fruta** *f* | - ხილი |
| **tenedor** *m* | - ჩანგალი | **helado** *m* | - ნაყინი |
| **copa** *f* | - პატარა ჭიქა | **sabroso** | - გემრიელი |
| **agua** *f* | - წყალი | **abundante** | - უხვი |
| **agua mineral** | - მინერალური წყალი | **excelente** | - კარგი |
| **vino** *m* **seco** | - მშრალი ღვინო | **ambiente** *m* | - გარემო |
| **vino** *m* **blanco** | თეთრი ღვინო | **salud** *f* | - ჯანმრთელობა |
| **vino** *m* **tinto** | - წითელი ღვინო | **paz** *f* | - მშვიდობა |

| | |
|---|---|
| **amigos de casa** | - ოჯახის მეგობრები |
| **comer al cubierto** | - კომპლექსური სადილი |
| **comer a la carta** | - სადილის შეკვეთა მენიუთი |
| **el cabeza de familia** | - ოჯახის უფროსი |
| **elegir a su gusto** | - საკუთარი გემოვნებით არჩევა |
| **elegir al gusto de** | - ვინმეს გემოვნებით არჩევა |
| **de primer plato (plato fuerte)** | - მეორე თავი კერძი |
| **de postre** | - მესამე თავი კერძი |
| **servicio esmerado** | - კარგი მომსახურება |
| **brindar por** | - ვინმეს სადღეგრძელოს შესმა |
| **en el mundo entero** | - მთელ მსოფლიოში |

...როგორც ხედავთ, ჩვენი გაკვეთილები სულ უფრო მეტად რთულ ხდება და ეს ბუნებრივიცაა; გასულ გაკვეთილებზე ჩვენ ტექსტების თარგმანი შემოგთავაზეთ, რაც უბრალოდ ნიმუში იყო იმისა, თუ როგორ უნდა ითარგმნოს სიტყვასიტყვით ტექსტი უცხო ენიდან. დღეიდან კი გთხოვთ მიმართოთ ესპანური ენის ლექსიკონს და თავად შეეცადოთ ტექსტის თარგმნა; ეს აუცილებელი ღონისძიებაა, რადგან ლექსიკონთან დამოუკიდებელი მუშაობის გარეშე მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

მაისის თვეში კიდევ ორ გაკვეთილს ჩავატარებთ და ამით ამოიწურება ის საწყისი კურსი, რასაც ერთადერთი მიზანი გააჩნდა - აღგვეძრა თქვენი ინტერესი ამ მშვენიერი ენისადმი და შემდეგ თავად გაგეგრძელებინათ მისი შესწავლა.

## ვიცნობდეთ ერთმანეთს „ფანტაზიელები“






### ავტობიოგრაფიული წიალსვლა

დავიბადე 1964 წლის 20 იანვარს (სუსხიან დილას!), დედამიწის ულამაზესი კუთხის, საქართველოს უმშვენიერეს დედაქალაქში.

ბავშვობის ყველაზე დიდი და შთამბეჭდავი მოგონება უკავშირდება 1972 წლის 13 სექტემბერს, როდესაც თბილისის „დინამოელებმა“ გამარჯვებით დაიწყეს თავისი დებიუტი უეფას თასზე, დამარცხეს რა ჰოლანდიის კლუბი „ტვენტე“ (3:2 - გახსოვთ?). იმ დღეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე არსებულმა გარემომ განსაზღვრა ჩემი შემდგომი არჩევანი და მომავლის (სამწუხაროდ!) მცირეოდენი მონაკვეთი:

ფეხბურთი!... ფეხბურთი!... ფეხბურთი!... - დილიდან საღამომდე და ყოველდღე.

### სამწუხარო წიალსვლა

1979 წელს მიღებულმა ტრავმამ არ მომცა საშუალება, ცხოვრება სპორტის ამ სახეობისათვის დამეკავშირებინა.

შემდეგ? შემდეგ წიგნები და შემეცნებითი ლიტერატურა... უნივერსიტეტი... აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი! (*აუცილებელი სარედაქციო წიაღსვლა იხილეთ ქვემოთ*)... სტუდენტური ცხოვრების არაჩვეულებრივი ხუთწლეული (1982-87)... სერიოზული გატაცება ალპინიზმით, მეგობართა უზარმაზარი წრე, დაოჯახება (*ქალბატონი ლალი! იხილეთ „ფანტაზია“ №248, გვ.19. აკვარიუმიდან მარცხნივ, მეოთხე*).

შემდეგ? ეროვნული მოძრაობა.... საბჭოთა იმპერიის ნგრევა... და ლამაზი ზღაპრიდან მკაცრ რეალობაში გადასვლა.... ოთხმოცდაათიანების შავ საბურველში გახვეული ქვეყანა... ოსეთსა და აფხაზეთში, ავტოავარიებში დაღუპული ბევრი უახლოესი მეგობარი... გაოგნება და გაურკვევლობა... საყოველთაო აპათია... ფასეულობათა გადაფასება... არავითარი პერსპექტივა...

### საკროსვორდო წიალსვლა

ვცდილობ, რამოდენიმე საათით მაინც გავექცე არსებულ სინამდვილეს, ამის საშუალებას კი საქართველოს ცხოვრებაში დიდი ოდენობით შემოჭრილი სხვადსხვა საკროსვორდო გაზეთი მაძლევს. შეუმჩნევლად და გაუცნობიერებლად გართობა გატაცებაში გადადის, თუმცა ვერცერთი მათგანი, სიმარტივის გამო, ჩემს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს; ასე გრძელდება 2001 წლის აგვისტომდე...

ეს მოხდა თბილის-ბორჯომის გზატკეცილზე!.. ჩვენი ავტობუსი ფრთხილად მიაპობდა სიცხით გათანგულ სივრცეს, მე ავტოსადგურში ნაყიდი გაზეთები გადავათვალიერე და მზერა უცნობ გაზეთს სწვდა...

ო, რა მოულოდნელად ჩამოჰკრა ბედნიერების ზარმა!... (*იხილე „შერეკილები“, 1974 წ. ბიძია-ბაბუას მონოლოგი.*)

დიახ, ბრმა შემთხვევამ („ფანტაზია“ გაზეთების გამყიდველმა ხურდაში მომცა თურმე) იმ დღეს გაზეთი „ფანტაზია“ გამაცნო! მოგვიანებით კი მისმა მთავარმა რედაქტორმა (...გვარს, რა თქმა უნდა, არ დავასახელებ) ეს არ მაკმარა და საკუთარი თავიც გამაცნო და (ჩემი სრულყოფილი ბედნიერებისათვის) ესეც რომ არ ჩათვალა საკმარისად, გამაცნო და გამაცნო თავისი დამქაშები (**მადლობა ღმერთს**, ორივე აღმოსავლეთმცოდნეები ვართ და კარგად ვიცით, რას ნიშნავს სიტყვა „დამქაში“... თქვენ კი, თუ არ იცით, გთხოვთ, ლექსიკონში ჩაიხედოთ). გმადლობთ!

### აუცილებელი სარედაქციო წიალსვლა

მადლობა ღმერთს!-ო - თქვა ბატონმა გიამ და ჩვენც ორიოდ სიტყვა უნდა შევაწიოთ აღმოსავლეთმცოდნეობის მშობლიურ ფაკულტეტს.

ეს მართლაც ოაზისი (*ოაზისის ჩვენეული გააზრება იხილეთ „ფანტაზია №254-ში, გვ.12.*) იყო საბჭოური სინამდვილისა, სადაც ყველაზე ნაკლებად იგრძნობოდა სურვილი „ნათელი მომავლის შენებისა“, თუნდაც იმიტომ, რომ ხუთივე კურსზე სულ რაღაც ასიოდე სტუდენტი სწავლობდა და სერიოზულ საამშენებლო ბრიგადად არავინ გვთვლიდა!

მალე მოვიცლით და გავიხსენებთ ამ ფაკულტეტს თავისი „დამქაშებით“; გასახსენებელი კი მართლაც ბევრი გვაქვს ბატონ გიასაც და მეც (გვარს, არ დავასახელებ).

## ფანტაზიორი

**პასუხები იხილეთ მე-20 გვერდზე**

1. ალბერტ აინშტაინის სამეცნიერო კარიერის დასაწყისში მის ცოლს სთხოვეს ეთქვა, თუ რას ფიქრობს საკუთარ ქმარზე.

„ჩემი ქმარი გენიოსია! - თქვა მადამ ეინშტეინმა - მას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, გარდა....

**რის გაკეთება არ შეეძლო ეინსტეინს?**

2. რა მიიღო მსოფლიოში პირველმა 1421 წელს მეცნიერმა, მოქანდაკემ და არქიტექტორმა ფილიპო ბრუნელესკიმ ფლორენციის ქალაქის მმართველობისაგან გემზე დასამონტაჟებელი ამწე კრანისათვის?

3. ამბები რობინ ჰუდისა და ვილჰელმ ტელის განსაცვიფრებელი ოსტატობის შესახებ დიდხანს არ აძლევდა მოსვენებას ამერიკელ პიტ რუფის და მან ბევრი ვარჯიშის შემდეგ შეძლო ის, რომ ხსენებული ლეგენდარული ადამიანების მსგავსად თავზე დადებულ ვაშლს პირდაპირ მიზანში მოარტყა, ოღონდ მათგან განსხვავებით, ამერიკელი არავის სიცოცხლეს საფრთხეში არ აგდებდა და თავად იყო ამ საფრთხის ობიექტი...

**რა იარაღს იყენებდა პიტ რუფი ამ დროს?**

4. ერთი ძველბერძნული ხატოვანი თქმის თანახმად „არქიტექტურა გაქვავებული მუსიკაა“, ამ გამოთქმის მეორე ნაწილში კი „ამეტყველებულ არქიტექტრად“ მოხსენიებულია სხვა რამ....

**რა?**

5. ინდიელთა შორის გავრცელებულია ასეთი ანდაზა:

„დასაწყისში მას უნდა მოეპყრო, როგორც მეფეს, შემდეგ უნდა მოექცე, როგორც მონას, ბოლოს კი მეგობრად უნდა მიიჩნიო“

**ვინ იგულისხმება?**

6. რომაელმა მწერალმა მარკუს პორციუს კატონ (..........)-მა ერთხელ დაწერა წიგნი რომის ისტორიის შესახებ... ყველა ის ფაქტი, რომელიც რომის იმპერატორთა ღირსებებს აკნინებდა ამ მწერალმა ამოაგდო ამბიდან და არ ჩაწერა წიგნში.

**რა იყო ამ მწერლის მეორე გვარი, რომელიც ჩვენ ზემორე ტექსტში გამოვტოვეთ?**

*პატარა ენციკლოპედია*

## ინდოეთის შტატები

### 3. ასამი - Assam

მდებარეობს ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ ჰიმალაის კალთებზე, მდინარე ბრაჰმაპუტრას ხეობაში.

სახელწოდება „ასამი“ წარმოდგება ძველინდური აჰომას ენიდან და ნიშნავს „უბადლოს, შეუდარებელს“.

დამოუკიდებელ შტატად გამოცხადდა 1950 წლის 26 იანვარს.

ფართობი - 78 438 კვ. კმ. მოსახლეობა - 22, 5 მილიონი, მოსახლეობის სიმჭიდროვე - 286 ადამიანი კვ.კმ-ზე.

ადმ. ცენტრი - **დისპური**.

ძირითად ენა - ჰინდი.

### 4. ბიჰარი - Bihâr

მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში, მისი ძირითადი ნაწილი განთავსებულია მდინარე განგის სანაპიროზე, ესაზღვრება ნეპალს.

სახელწოდება „ბიჰარი“ წარმოდგება სანსკრიტის ენიდან და ნიშნავს „ბუდისტურ მონასტერს“.

დამოუკიდებელ შტატად გამოცხადდა 1950 წელს.

ფართობი - 173,876 კვ. კმ. მოსახლეობა - 93 მილიონი, მოსახლეობის სიმჭიდროვე - 535 ადამიანი კვ.კმ-ზე.

ადმ. ცენტრი - **პატნა** (920 000)

ძირითად ენა - ბიჰარული.

### 5. გოა - Goa

მდებარეობს არაბეთის ზღვის სანაპიროზე. ეს არის ინდოეთის ყველაზე პატარა შტატი.

გოა წარმოადგენდა პორტუგალიის კოლონიას, რომელიც ინდოეთმა 1961 წელს შეიერთა მოკავშირე ტერიტორიის სტატუსით. დამოუკიდებელ შტატად გამოცხადდა 1987 წელს.

ფართობი - 3 702 კვ. კმ. მოსახლეობა - 1,6 მილიონი, მოსახლეობის სიმჭიდროვე - 360 ადამიანი კვ.კმ-ზე.

ადმ. ცენტრი - **ფანაჯი** (85 700)

ძირითად ენა - ჰინდი.




# დასავლეთ ვირჯინია

**დასავლეთ ვირჯინია** (West Virginia) მდებარეობს აშშ-ს აღმოსავლეთ ნაწილში, ვირჯინიის დასავლეთით, აპალაჩის მთებში, მდინარე ოჰაიოს სათავეებში.

შტატი ორ ძირითად რეგიონად იყოფა: ერთი - აპალაჩის მთების თვალწარმტაცი მწვერვალები და ხეობები და მდინარეების სათავეებია, მეორე კი - მაღალმთიანი პლატო, რომელიც თანდათანობით ეშვება დასავლეთი მიმართულებით და ზღვის დონიდან 900-1200 მეტრზეა განლაგებული.

დასავლეთი ვირჯინია მდიდარია თავისი წიაღისეულით, აქ არის, აგრეთვე, ნავთობისა და გაზის დიდი საბადოები, განვითარებულია ქიმიური მრეწველობა.

* * *

დასავლეთ ვირჯინია ამერიკის სამოქალაქო ომამდე (1861-65 წწ.) ვირჯინიის შტატის ნაწილს წარმოადგენდა, მისგან გამოყოფის შემდეგ კი **1863 წლის 20 ივნისს** აშშ-ს რიგით **35-ე შტატად** გამოცხადდა.

* * *

დასავლეთ ვირჯინია სხვაგვარად „მთიან შტატად“ და „გლახაკთა შტატადაც“ მოიხსენიება. სახელი „ვირჯინია“ კი, ბუნებრივია, დაკავშირებულია თავად ვირჯინიის შტატთან და სათავეს იღებს ინგლისის დედოფალ ელისაბედ I-საგან, რომელსაც სხვაგვარად „ქალწულს“ (ქალწული - ინგ. „**Virgin**“) უწოდებდნენ.

ღირსშესანიშნაობათა შორის აღსანიშნავია ეროვნული სამდინარო ნაკრძალი „ნიუ-რივერის ხეობა“ და ეროვნული სამხედრო-ისტორიული ნაკრძალი ჰარპერს-ფერი.


მდინარე ოჰაიო

**დასავლეთ ვირჯინია** (vər-jĭn'yə)
**ფართობი** - 62,761 კვ.კმ. (24,232 კვ.მილი)
- აშშ-ს სიდიდით 41-ე შტატი.
**მაქსიმალური სიგრძე** – 380 კმ
**მაქსიმალური სიგანე** – 425 კმ
**მოსახლეობა** - 1 795 000 (1995 წ).
**მოსახლეობის სიმჭიდროვე** - 29 ადამიანი 1 კვ. კმ.-ზე
**ადმინისტრაციული ცენტრი** - ჩარლსტონი.


**დროშა** - *ლურჯ მართკუდხეში, თეთრ ფონზე ყვავილების გვირგვინი*


**ღერბი** - *წარწერით* ***State of West Virginia Montani Semper Liber.***


**ფრინველი** - *კარდინალი* ***(Cardinal);***


**ყვავილი** - *როდოდენდრონი* ***(Rhododendron)***


**ხე** - *შაქრის ნეკერჩხალი* ***(Sugar Maple).***

**დევიზი** - *ლათ.* ***- Montani Semper Liberi*** *(მთიელები ყოველთვის თავისუფალნი არიან)*

- დასავლეთ ვირჯინია 55 ოლქადაა დაყოფილი.

- ეს შტატი აშშ-ში 34-ე ადგილზეა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ.

- შტატის მოსახლეობის 96,2 %-ს თეთრკანიანები შეადგენენ, 3,1 % ეკუთვნით შავკანიანებს, 0,4%-ია აზიიდან და ოკეანიიდან გამოსულთა რიცხვი, 0,1 % - აბორიგენი ინდიელები.

- დასავლეთ ვირჯინიის პირველმოსახლენი შოტლანდია-ირლანდიიდან, ინგლისიდან და გერმანიიდან ამერიკაში ჩასული ავანტურისტები იყვნენ, რომელთაც თან შავკანიანთა მცირეოდენი ჯგუფები ახლდათ. ამერიკის პირველ სამოქალაქო ომამდე ეს რეგიონი პრაქტიკულად შეუვალი და დაუმორჩილებელი იყო.

- დასავლეთ ვირჯინიაში წარმმართველი ადგილი რელიგიურობის თვალსაზრისით ბაპტისტურ ეკლესიას ეკუთვნის.

- დასავლეთ ვირჯინიის უდიდესი ქალაქებია: ჩარლსტონი (60 000), ჰანტინგტონი (55 000), პარკერსბურგი (35 000), მორგანთაუნი (25 000), ბეკლი (20 000).

## ისტორიული ექსკურსი

დას. ვირჯინიის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ადამიანთა ნამოსახლარები, რომლებიც 8-10 ათასი წლის წინანდელი ეპოქით თარიღდება. ჩვენს ერამდე დაახლოებით V საუკუნიდან ამ რეგიონში მაღალი ცივილიზაციის კულტურა ყვაოდა, რაც დაახლოებით ცამეტ საუკუნეს გაგრძელდა და მეზობელი ტომების მიერ იქნა განადგურებული.

XVII საუკუნეში რეგიონს **იროკეზების** ტომი დაეპატრონა, რომლებმაც მოსპეს ტომობრივი დაპირისპირებანი და პირველ ევროპელებს სახელმწიფოებრივი ჩანასახის დონეზე დახვდნენ.

### პირველაღმომჩენები

1609 წლიდან მოყოლებული ღლევანდელი ვირჯინიის შტატის ტერიტორიაზე დამკვიდრებული ევროპელები დიდ ყურადღებას იჩენდნენ აპალაჩების მთების გადაღმა მიწებისადმი, მაგრამ ადგილობრივ ინდიელთა წინააღმდეგობის გამო ვერ ახერხებდნენ მათთვის სასურველი ტერიტორიების ათვისებას. პირველი ევროპელი, ვინც დასავლეთ ვირჯინიის მიწები იხილა, იყო გერმანელი ექიმი ჯონ ლედერერი, რომელმაც 1669-70 წლებში ორჯერ შეძლო მთების გადაღმა რეგიონის მონახულება და აღწერა. 1671 წელს საგანგებო ექსპედიციამ გამოიკვლია აპალაჩებიდან სათავეაღებული მდინარეები და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ისინი ოჰაიოს შტატის ველებისაკენ მიედინებოდნენ, რამაც შესაძლებელი გახადა ამ რეგიონში ჩრდილოეთი მხრიდან შეღწევა.

* * *

1716 წელს მორიგი ექსპედიცია გაეშურა აპალაჩების პლატოსკენ, რომელმაც აღფრთოვანებული შეფასება მისცა აქ გადაშლილ ნაყოფიერ და წიაღისეულით მდიდარ ადგილებს. ამას მოჰყვა პენსილვანიისა და ნიუ ჯერსის რეგიონებიდან გერმანელი და ირლანდიელი ბაპტისტების მასობრივი გადასახლება, რასაც, გარკვეულწილად, მათი რელიგიური შეხედულებებიც განაპირობებდა.

1754-63 წლების საფრანგეთ-ინგლისის ომმა დასავლეთ ვირჯინიის ტერიტორიაზე ევროპელთა ახალი ტალღის გადასახლება გამოიწვია, რომლებიც ძნელად მისაღწევ ადგილებში პატარა ფორტებს აფუძნებდნენ და თანდათანობით აფართოებდნენ საკუთარი გავლენის სფეროებს. 1749 წლისათვის მათ აპალაჩების მთების შემოგარენიდან მთლად განდევნეს აბორიგენები და მაღალმთიან რეგიონებშიც განათავსეს საკუთარი თავდაცვითი ციხე-სიმაგრეები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ევროპელთაგან ათვისებულ მიწებზე იფეთქა ანტიკოლონიურმა აჯანყებამ, რაშიც ინდიელთა ბელად **პონტიაკის** ხელმძღვანელობით ჩრდილოეთის რეგიონის ტომებიც გაერთიანდნენ და რაც საბოლოოდ 1794 წელს გამართული საშინელი ბრძოლით დასრულდა ოჰაიოში. ევროპელებმა გაიმარჯვეს და ამერიკის მკვიდრი მოსახლეობა იძულებული გახდა დასავლეთის აუთვისებელი მიწებისათვის შეეფარებინა თავი.

XIX საუკუნის დასაწყისიდან პრაქტიკულად აღარ არსებობდა აპალაჩების მთიანი ბარიერის პრობლემა; გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი დასავლეთისაკენ.

**ჩარლსტონი** **(Charleston)** - მდებარეობს შტატის დასავლეთ ნაწილში, მდინარე კანავას ნაპირებზე. პირველი ფორტი აქ დაფუძნდა 1788 წელს ირლანდიელი კოლონელ კლენდინის მიერ, რომელმაც მას საკუთარი მამის, ჩარლის სახელი უწოდა. 1862 წლიდან დაემორჩილა ცენტრალურ მმართველობას, 1885 წელს რეგიონის დედაქალაქად გამოცხადდა. 1888 წელს დაარსდა უნივერსიტეტი და მას შემდეგ შტატის კულტურულ ცენტრადაც იქცა.


ჩარლსტონი

# უნივერსალური საკროსვორდო ენციკლოპედია

**გო** - ძველჩინური სამაგიდო თამაში. ყველაზე მეტად გავრცელებულია იაპონიაში.

**გოა** - ინდოეთის შტატი.

**გოარი** - ფრანგი ლიტურგისტი, ფრანცისკანელი ბერი (XVII ს).

**გოაცინი** - გუგულისებრთა ოჯახის ფრინველი. გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში.

**გოახირა** - იხილე *გუახირა.*

**გობელენი** - კედელზე გასაკრავი ხალი, რომელშიც ჩაქსოვილია სურათები.

**გობეტი** პიერო - იტალიელი კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი (XX ს).

**გობეჩია** მელიტონ - პუბლიცისტი, მწერალი (XIX-XX სს).

**გობეჯიშვილი** დავით - მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

**გობი** - თეფშის მსგავსი დიდი ზომის ამოთლილი ან შეკრული ხის ჭურჭელი.

**გობი** - უდაბნოს, ნახევრადუდაბნოს და მშრალი სტეპის გავრცელებული არე ჩინეთ-მონღოლეთში.

**გობი** ტიტო - იტალიელი მომღერალი (ბარიტონი), „ლა სკალას" სოლისტი (XX ს).

**გობინო** ჟოზეფ არტიურ დე - ფრანგი მწერალი და სოციოლოგი (XIX ს).

**გობის** ალთაი - ქედებისა და მასივების ჯაჭვი მონღოლეთში.

**გობისცხვირა** - მცენარის გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა, მრავალწლოვანი დაბალი ბალახი.

**გობოზაანი** - სოფელი ზნაურის რ

**გობრონეთი** - სოფელი ქედის რ

**გობრონი** - ქართველი აზნაური, აბუ ლ-კასიმის ლაშქრობის დროს ხელმძღვანელობდა ყველის ციხის დაცვას (X ს).

**გობუ** - დაბა აზერბაიჯანში.

**გობუსტანი** - არქეოლოგიურ ძეგლთა კომპლექსი კავკასიონის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ განშტოებაზე.

**გოგარენე** - ისტორიული ქვემო ქართლის ბერძნული სახელწოდება.

**გოგო** ოქტავიან - პოეტი. რუმინეთის პოლიტ. მოღვაწე XX ს 30-იან წლებში.

**გოგაშენი** - სოფელი ახალქალაქის რ

**გოგაძეები** - სოფელი შუახევის რ

**გოგებაშვილი** იაკობ - დიდი ქართველი პედაგოგი და საბავშვო მწერალი.

**გოგენი** პოლ - ფრანგი მხატვარი, პოსტიმპრესიონიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი (XIX ს).

**გოგი** - თითის გარეგანი ნაწევარი (საბა).

**გოგია** დავით - თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა მეკარე 70-იან წწ.

**გოგიაშვილი** 1) ანტონ - გრაფიკოსი (XIX-XX სს). 2) კუკური - საბავშვო მწერალი (XX ს).

**გოგიბერიძე** მოსე - ფილოსოფოსი (XX ს).

**გოგი და მაგოგი** - 1) იუდეურ, ქრისტიანულ მითოლოგიაში: ორი ველური ხალხი. 2) ითქმის ყოვლისშემძლე ან შიშისმომგვრელ ვინმეზე ან რამეზე.

**გოგიეთი** - სოფელი ოზურგეთის რ

**გოგინაური** - სოფელი შუახევის რ

**გოგინიძეები** - სოფელი ქედის რ

**გოგირდი** - ქიმიური ელემენტი, ყვითელი, ადვილად აალებადი კრისტალური ნივთიერება.

**გოგირდწყალი** - სოფელ *არსაულის* ძველი სახელი.

**გოგიტიძე** გერმანე - ქართული კინოწარმოების ერთ-ერთი პიონერი.

**გოგიუბა** - X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ისტორიულ ერუშეთში (ამჟამად თურქეთშია)

**გოგიჩაიშვილი** გივი - მწერალი (XX ს).

**გოგლანდი** (სურ-სარი) - კუნძული ბალტიის ზღვის ფინეთის ყურეში (რუსეთი),

**გოგლიმოგლი** - კვერცხის გული გათქვეფილ შაქართან ერთად.

**გოგლიძე** ვიქტორ - მოჭადრაკე, პირველი ქართველი ოსტატი.

**გოგლურთა** - ყოფილი სოფელი ახმეტის რ

**გოგმანი** - მოხდენილი სიარული, ნარნარი სვლა.

**გოგმაჩაური** - სოფელი ქობულეთის რ

**გოგნაური** - სოფელი დუშეთის რ

**გოგნი** - სოფელი თერჯოლის რ

**გოგო** - 1) ქალი ბავშვობის ასაკში. 2) ხელზე მოსამსახურე შინაყმა, ახალგაზრდა ქალი.

**გოგოთური** - ვაჟა-ფშაველას პოემის გმირი.

**გოგოლაურთა** - სოფელი დუშეთის რ

**გოგოლაური** - ყიზილბაში დამპყრობების წინააღმდეგ კახეთის აჯანყების გმირი (XVII ს).

**გოგოლაშვილი** (ხონელი) შალვა - მსახიობი (XX ს).

**გოგოლაძე** თენგიზ - მწერალი (XX ს).

**გოგოლევა** ელენა - მოსკოვის მცირე თეატრის სახელოვანი მსახიობი (XX ს).

**გოგოლევო** - დაბა (უკრაინის) პოლტავის ოლქში.

**გოგოლეთი** - სოფელი ამბროლაურის რ

**გოგოლესუბანი** - სოფელი ჩოხატაურის რ

**გოგოლი** ნიკოლაი - უკრაინული წარმოშობის დიდი რუსი მწერალი (XIX ს).

**გოგონა** - პატარა გოგო.

**გოგორა** - ურმის, ეტლის და მისთანათა თვალი, ბორბალი.

**გოგორეთი** - ყოფილი სოფელი ოზურგეთის რ

**გოგორიშვილი** დაუთბეგ - სამცხის ფეოდალი, გიორგი სააკაძის მომხრე.

**გოგოური** - სოფელი ჩოხატაურის რ

**გოგოძე** კარლო - კინოკრიტიკოსი.

**გოგოჭუა** - ქალური ქცევის ბიჭი.

**გოგრა** - 1) ერთწლოვანი კულტურული მცენარე. 2) (გადატანით) თავი.

**გოგრა** - იხილე *გჰავჰრა.*

**გოგროხა** - დიდი გოდორი.

**გოგუა** ალექსი - აფხაზი მწერალი (XX ს).

**გოდავარი** (გოდი) - მდინარე ინდოეთში, ერთვის ბენგალის ყურეს.

**გოდარდი** რობერტ - ამერიკელი მეცნიერი, სარაკეტო ტექნიკის ერთ-ერთი პიონერი.

**გოდარი** ეჟენ - ფრანგი ჰაერნაოსანი და ავიაკონსტრუქტორი (XIX ს).

**გოდარი** ჟან ლიუკ - ფრანგი კინორეჟისორი და სცენარისტი.

**გოდგაძეები** - სოფელი ხულოს რ

**გოდერძი** - სოფელი ადიგენის რ

**გოდერძის** უღელტეხილი - უღელტეხილი ხულოს რ, არსიანის ქედზე.

**გოდკოში** - ხის სირჩა (საბა).

**გოდლედი** - კედლის ბურჯები (საბა).

**გოდმანისი** ივარს - ლატვიის პოლიტ. მოღვაწე (XX ს).

**გოდოგანი** - სოფლები მარტვილისა და თერჯოლის რ

**გოდოგნის** მღვიმე - მღვიმე თერჯოლის რ

**გოდოვსკი** ლეოპოლდ - პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი (XIX-XX სს).

**გოდოი** (ალვარეს დე ფარია) მანუელ - ესპანეთის პოლიტ. მოღვაწე XIX საუკუნის დასაწყისში.

**გოდოლარი** - მდინარე ახალქალაქის რ

**გოდოლი** - მაღალი კოშკი.

**გოდორეები** - მთა ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების საზღვარზე.

**გოდორები** - ტბა ახალქალაქის რ

**გოდორი** - წნელის, ტკეჩის მოზრდილი მაღალი ჭურჭელი.

**გოდორულა** - მდინარე საჩხერის რ

**გოდორყორე** - დაწნული და ქვით სავსე დიდი ჯინი მდინარის ნაპირის გასამაგრებლად.

**გოდორყური** - თევზის საჭერი გოდორი.

**გოდუინი** უილიამ - ინგლისელი მწერალი (XVIII-XIX ს).

**გოდუინ-ოსტენი** - იხილე *ჩივორი.*

**გოდუნოვი** ალექსანდრე - ბალეტის რუსი მსახიობი (XX ს).

**გოდუნოვი** ბორის - იხილე *ბორის გოდუნოვი.*

**გოდფრუა ბუიონელი** - I ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი წინამძღოლი (XI-XX სს).

**გოდჰავნი** - ქალაქი კ. დისლოზე (გრენლანდია).

**გოეთე** იოჰან ვოლფგანგ - დიდი გერმანელი მწერალი და მოაზროვნე.

**გოეთიტი** - მინერალი, ნემსისებური რკინის მადანი (სახელი ეწოდა გოეთეს პატივსაცემად).

**გოელრო** (აბრევ. - Государственная комиссия по электрификации России) – გოელროს გეგმა.

**გოვერლა** - მთა აღმოსავლეთ კარპატებში (უკრაინა).

**გოვერნადორ-ვალადარისი** - ქალაქი ბრაზილიის მინას ჟერაისის შტატში.

**გოვზაკი** - სარწყული (საბა).

**გოვინდ სინგჰი** - სიქების მე-10 და უკანასკნელი გურუ (XVII-XVIII სს).

**გოვლარი** - დაბა აზერბაიჯანში.

**გოვონი** იაკუბუ - ნიგერიის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე (XX ს).

**გოვოროვი** ლეონიდ - სსრკ-ს მარშალი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე.

**გოვორუხინი** სტანისლავ - რუსი კინორეჟისორი.

**გოვსანი** - დაბა აზერბაიჯანში.

**გოზაური** - ღვინო-არაყის ჩასასხმელი თიხის მოზრდილი ჭურჭელი.

**გოზინაყი** - საახალწლოდ თაფლში მოხარშული წვრილად დაჭრილი ნიგოზი, ნუში ან თხილი.

**გოზო** - სოფელი ცხინვალის რ

**გოთა** - ქალაქი აღმოსავლეთ გერმანიაში.

**გოთები** - იხილე *გუთები.*

**გოთოთა** - სოფელი ჯავის რ

**გოთუა** ლევან - მწერალი (XX ს).

**გოთურგა** - ხმლის, ხანჯლის, თოფის და მისთანათა ჩამოსაკიდი თამასა.

**გოია** (გოია ი ლუსიენტესი) ფრანსისკო ხოსე დე - ესპანელი მხატვარი (XVIII-XIX სს).

**გოიავიჩინსკა** პოლია - პოლონელი მწერალი ქალი (XX ს).

**გოიათა** - სოფელი ცხინვალის რ

**გოიანია** - ქალაქი ბრაზილიის გოიასის შტატში.

**გოიასი** - შტატი ბრაზილიაში.

**გოიბნიუ** - კელტურ მითოლოგიაში ღმერთი-მჭედელი.

**გოიგოლი** - ტბა აზერბაიჯანში.

**გოიენი** იან ვან - ნიდერლანდელი მხატვარი (XVII ს).

**გოითეფე** - მრავალფენიანი გორანამოსახლარი რეზაიეს (ურმიის) ტბის დასავლეთ სანაპიროზე (ირანი).

**გოიტისოლო** ხუან - ესპანელი მწერალი (XX ს).

**გო იუი** - ძველჩინური ისტორიული თხზულება.

**გოიჩაი** - იხილე *გოქჩაი.*

**გოკიელი** 1) ელენე - სპორტსმენი, მძლეოსანი, 1952 წლის ოლიმპ. თამაშების მონაწილე. 2) რაფიელ - კომპოზიტორი (XX ს).

**გოკიო** - სოფელი ახალქალაქის რ

**გოკიოსწყალი** - მდინარე ახალქალაქის რ

**გოკო** - ქათმისებრთა გვარის ფრინველი, ბინადრობს სამხრ. და ცენტრ. ამერიკაში.

**გოგლა** - ლიბერიის დასავლეთ ნაწილში მოსახლე ხალხი.

**გოლა** - პერსონაჟი მერაბ ელიოზიშვილის პიესისა „ბებერი მეზურნეები".

**გოლავლი** - აზიის მდინარეებში გავრცელებული თევზის სახეობა

**გოლათუბანი** - სოფელი ხარაგაულის რ

**გოლარტი** ჟოაო - ბრაზილიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე (XX ს).

**გოლასკური** - სოფელი სენაკის რ

**გოლბახი** პოლ ანრი - ფრანგი ფილოსოფოსი (XVIII ს).

**გოლგოთა** - 1) გორაკი პალესტინაში, სადაც ჯვარს აცვეს ქრისტე. 2) სატანჯველი ადგილი, ტანჯვა.

**გოლდაში** - მთა მესტიის რ

**გოლდბახ**-ის პრობლემა - რიცხვთა თეორიის ერთ-ერთი პრობლემა.

**გოლდბერგი** ვუპი - ჰოლივუდის შავკანიანი მსახიობი ქალი.

**გოლდენვეიზერი** ალექსანდრე - საბჭოთა ეპოქის პიანისტი და კომპოზიტორი.

**გოლდი** 1) თომას - ინგლისელ-ამერიკელი ასტრონომი (XX ს). 2) მაიკლ (ირვინგ გრანიჩი) - ამერიკელი მწერალი (XX ს).

**გოლდინგენი** - ლატვიის ქალაქ კულდიგას სახელი 1917 წლამდე.

**გოლდინგი** უილიამ ჯერალდ - ინგლისელი მწერალი (XX ს).

**გოლდმანი** ლუსიენ - ფრანგი ფილოსოფოსი და თეორიტიკოსი (XX ს).

**გოლდონი** კარლო - იტალიელი დრამატურგი (XVIII ს).

**გოლდსმითი** ოლივერ - ინგლისელი მწერალი-სენტიმენტალისტი (XVIII ს).

**გოლდფადენი** ავრომ - ებრაელი დრამატურგი და პოეტი (XIX-XX სს).

**გოლდშმიდტი** მეირ არონ - დანიელი მწერალი და ჟურნალისტი (XIX ს).

**გოლდციერი** იგნაც - უნგრელი არაბისტი და ისლამმცოდნე (XX ს).

**გოლეა** - ოაზისი და დასახლებული პუნქტი ჩრდილოეთ საჰარაში (ალჟირი).

**გოლეიზოვსკი** კასიან - ბალეტის რუსი მსახიობი (XX ს).

**გოლემბიოვსკი** იგორ - რუსი ჟურნალისტი, გაზეთ „იზვესტია"-ს რედაქტორი, მუშაობდა საქართველოშიც.

**გოლემი** - თიხისაგან მოზელილი და სულშთაბერილი არსება იუდაიზმის ტრადიციის თანახმად.

**გოლემინოვი** მარინ - ბულგარელი კომპოზიტორი (XX ს).

**გოლენიშჩევ-კუტუზოვი** არსენი - რუსი პოეტი (XIX-XX სს).

**გოლეული** - ფიჭიანი თაფლი.

**გოლზუორთი** ჯონ - ინგლისელი მწერალი (XIX-XX სს).

**გოლთეთი** - სოფელი თეთრი წყაროს რ

**გოლი** - 1) (მოძვ.) ფეხბურთის კარი. 2) ბურთის შეგდება კარში.

**გოლი** - დამშრალი მდინარე გობის უდაბნოში.

**გოლი** 1) ივან - გერმანელ-ფრანგი პოეტი (XX ს). 2) შარლ დე - საფრანგეთის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, ქვეყნის პრეზიდენტი 1959-69 წლებში.

**გოლიათი** - 1) ბიბლიის ფილისტიმელი პერსონაჟი, რომელიც მწყემსმა დავითმა მოკლა. 2) ვეებერთელა, ბუმბერაზი და უზარმაზარი კაცი.

**გოლიარდები** - იგივეა, რაც გიგანტები.

**გოლაიძე** 1) ივანე - ცირკის მსახიობი. 2) ლავრენტი - ავიაციის გენ.-მაიორი.

**გოლიკოვი** 1) ივან - რუსი მხატვარი-ხატმწერი (XIX-XX სს). 2) ლონია - მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ყმაწვილი პარტიზანი, საბჭოთა კავშირის გმირი. 3) ფილიპე - საბჭოთა კავშირის მარშალი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე.

**გოლინკი** - დაბა (რუსეთის) სმოლენსკის ოლქში.

**გოლისი** - სოფელი ხარაგაულის რ

**გოლიშმანოვო** - დაბა (რუსეთის) ტიუმენის ოლქში.

**გოლიცინი** 1) ალექსანდრ - რუსი თავადი, სახელმწიფო მოღვაწე (XVIII-XIX სს). 2) ბორის -თავადი, პეტრე I-ის აღმზრდელი.

**გოლიცინო** - დაბა (რუსეთის) მოსკოვის ოლქში.

**გოლკიპერი** - მეკარე ფეხბურთში ან ჰოკეიში.

**გოლკონდა** - ინდოეთის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო XVI-XVII სს

**გოლმოვსკი** - დაბა (უკრაინის) დონეცკის ოლქში.

**გოლობი** - დაბა (უკრაინის) ვოლინის ოლქში.

**გოლოდნი** (ეპშტეინი) მიხეილ - რუსი პოეტი (XX ს).

**გოლოვინი** თედორე - რუსი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე (XVII-XVIII სს).

**გოლოვკო** ანდრეი - უკრაინელი მწერალი (XX ს.

**გოლოვნო** - დაბა (უკრაინის) ვოლინის ოლქში.

**გოლოტა** ილია - კაზაკთა პოლკოვნიკი, ბოგდან ხმელნიცკის თანამებრძოლი (XVII ს).

**გოლუბკინა** 1) ანა - რუსი მოქანდაკე (XIX-XX სს). 2) ლარისა - რუსი კინომსახიობი.

**გოლუბნიჩი** ვლადიმერ - უკრაინელი სპორტსმენი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სპორტულ სიარულში.

**გოლუბოვი** სერგეი - რუსი მწერალი (XX ს).

**გოლუეი** - 1) ატლანტის ოკეანის ყურე ირლანდიის დასავლეთ სანაპიროსთან. 2) ქალაქი-პორტი ირლანდიაში.

**გოლუი** ტადეუშ - პოლონელი მწერალი (XX ს).

**გოლფები** - სპორტული სამოსის ნაწილი, გრძელყელიანი წინდები.

**გოლფი** - 1) სპორტული თამაში. 2) მოკლე შარვალი. 3) წინდა მუხლამდე სიგრძისა.

**გოლფსტრიმი** - თბილ დინებათა სისტემა ატლანტის ოკეანეში.

**გოლცი** - ციმბირში გავრცელებული სახელი მწვერვალებისა.

**გოლცი** გიორგი - არქიტექტორი და თეატრის მხატვარი (XX ს).

**გოლციუსი** ჰენდრიკ - ნიდერლანდელი მხატვარი (XVI-XVII სს).

**გოლცოვო** - ტბა (რუსეთის) არხანგელსკის ოლქში.

**გოლჯი** კამილო - იტალიელი მეცნიერი, ჰისტოლოგი.

**გომანი** - სოფელი ახალქალაქის რ

**გომარდისწყალი** -მდინარე ჩხოროწყუს რ

**გომარდული** - სოფელი შუახევის რ.

**გომარეთი** - სოფელი დმანისის რ

**გომართელი** ივანე - ექიმი, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი (XIX-XX სს).

**გომარი** ფრანცისკ - ჰოლანდიელი რეფორმატორი, ღვთისმეტყველი (XVI-XVII სს).

**გომარო** - სოფელი ადიგენის რ

**გომატი** (გუმტი) - მდინარე ინდოეთში, განგის მარცხენა შენაკადი.

**გომბეშო** - ბაყაყისნაირი უკუდო წყალხმელეთა ცხოველი, აქვს ხორკლიანი კანი.

**გომბიო** - (*დამცირებით*) გოგო.

**გობიო** - უკუდო ამფიბიების გვარი.

**გომბორი** - მდინარე და მთა საგარეჯოს რ.

**გომბორი** - სოფლები საგარეჯოს და ქარელის რაიონებში.

**გომბორის** ქედი (ცივგომბორის ქედი) - ქედი ახმეტის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, თიანეთის და საგარეჯოს რაიონებში.

**გომბრიხი** ერნსტ - ავსტრო-ინგლისელი თეორიტიკოსი და ისტორიკოსი ხელოვნებისა.

**გომბროვიჩი** ვიტოლდ - პოლონელი მწერალი (XX ს).

**გომელაური** 1) ალექსანდრე - მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი (XX ს). 2) ზაქარია - მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი (XX ს).

**გომელი** - ქალაქი ბელორუსიაში.

**გომელსკი** ალექსანდრე - რუსი კალათბურთელი და მწვრთნელი (XX ს).

**გომერი** - მთა თეთრი წყაროს რ

**გომეს დე აველიანედა** ხერტრუდის - ესპანელ-კუბელი მწერალი ქალი (XIX ს).

**გომეს დე ლა სერნა** რამონ - ესპანელი მწერალი და კრიტიკოსი (XX ს).

**გომესი** 1) მაქსიმო - ლათინომერიკული პოლიტიკური მოღვაწე (XIX-XX ს).. 2) ხუან ვისენტე - ვენესუელის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე (XIX-XX სს).

**გომეს-პალასიო** - ქალაქი მექსიკის დურანგოს შტატში.

**გომეწარი** - სოფელი და მთა დუშეთის რ

**გომეწრის** ხეობა - ხეობა ახმეტის რ

**გომეხეობა** - მდინარე დუშეთის რ

**გომი** - მსხვილფეხა რქიანი საქონლის ზამთრის სადგომი.

**გომი** - 1) მდინარე ქობულეთის რ; 2) მდინარე გალის რ

**გომი** - სოფლები კასპის, ოზურგეთის, ონისა და ხაშურის რაიონებში.

**გომიაშვილი** 1) ალექსანდრე - პოეტი (XX ს). 2) არჩილ - მსახიობი (XX-XXI სს).

**გომიზი** - ხის წებო (საბა).

**გომიკავა** ძიუმპეი - იაპონელი მწერალი (XX ს).

**გომინდანი** - 1912 წ შექმნილი ჩინეთის პოლიტიკური პარტია.

**გომის** მთა - მთა ოზურგეთის რ

**გომისი** (გომესი) ანტონიუ კარლუს - ბრაზილიელი კომპოზიტორი (XIX ს).

**გომისციხე** - მთა ადიგენისა და ჩოხატაურის რაიონებში.

**გომისჯვარი** - სოფელი კასპის რ

**გომიშ დი ამორიმი** ფრანსიშკუ - პორტუგალიელი მწერალი (XIX ს).

**გომიჯი** - უსაფუვრო და უმარილო მრგვალი პური, ნაღვერდალში გამომცხვარი.

**გომმუხაყრუა** - სოფელი სამტრედიის რ

გ - 1794 სიტყვა

## იაპონელ მხატვართა კონკურსის პირველი ტურის პასუხები და შედეგები



პირველ ნახატზე თქვენ უნდა დაგეხატათ ოთხი ფრინველი, რომელთა ორნითოლოგიური თავისებურებანი დიდი კამათის საგანი გახდა; ზოგის აზრით ესენი არიან წეროები, ზოგმა მათში გედები ამოიცნო, ზოგმა ბატები და ა.შ. თუმცა ეს არ არის მთავარი, უფრო მნიშვნელოვანი იყო იმ „ხუთიანის“ ჩახატვა, რაც ნახატის მარჯვენა კუთხეში მდებარეობს და რაც ნახატის ამოცნობისათვის ხუთ ქულას მოგცემდათ.



მეორე ნახატზე ნაძვის ხის ქვეშ მჯდარი კურდღელი უნდა მოგეძებნათ. რის შემდეგაც კროსვორდის შედგენა და სიტყვა „სტაფილოს“ ამოცნობა და სათანადო ადგილზე განთავსება გევალებოდათ.

* * *

უნდა მოგახსენოთ, რომ პირველი ტურის ნახატები არცთუ დიდი სირთულით გამოირჩეოდა, ამიტომაც მონაწილეთა უმრავლესობამ კარგად გაართვა თავი დასახულ მიზანს, რაზედაც შედეგებიც მეტყველებს:

**11 ქულა**: თინა ფურცელაძე, ზიზი ბუბაშვილი, კობა დალაქიშვილი, მალხაზ დარსაველიძე, შალვა ასპანიძე, ავთანდილ წიქარიშვილი, კოტე ხუციშვილი, გივი კაპანაძე, ილია გიორგაძე, ვახტანგ ნანავა, თამაზ ბულია, ლელა გამგონიძე, სოლომონ მამუჩიშვილი, მიხეილ ტურაშვილი.

**8 ქულა**: დათო გაჩეჩილაძე, ზურა სარიშვილი.

**6 ქულა**: მანანა აბულაძე, მამუკა ტუსკაძე, თამაზ ხაინდრავა, რეზო შალამბერიძე, ზურაბ ბაინდურაშვილი, ილია ლათიბაშვილი, ალექსანდრე გოგოძე, დავით მაისურაძე.

...ჯერ ყველაფერი წინაა და ჩვენც ბევრ სიურპრიზს მოგიმზადებთ, რათა ყველა მონაწილეს ჰქონდეს იმედი გამარჯვებისა!

### შიდასაფანტაზიო განცხადება

ჩვენ რამოდენიმეჯერ განვაცხადეთ, რომ შემუშავებული გვაქვს ინტელექტუალური თამაშების რამოდენიმე ვარიანტი და გვსურს გავაცნოთ ისინი ჩვენი მკითხველების ფართო წრეს.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი რედაქციის თანამშრომელთა და „ფანტაზიის“ კლუბის წევრთა ბაზაზე შესაძლებლად მიგვაჩნია ინტელექტუალური გუნდის შექმნა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რაიონში შეხვდება „ფანტაზიის“ მკითხველებს და მათთან დასწრებულ თამაშებს გამართავს.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ, რათა ერთად შევიმუშაოთ ამა თუ იმ ღონისძიების გეგმა და მათი განხორციელებით „ფანტაზიელებს“ საშუალება მივცეთ ურთიერთგაცნობისა და დამეგობრებისა.

# გასული ნომრის პასუხები

### პირველი გვერდი

1. სამართებელი. 2. ასტრონავტი. 3. თავზეხელშემოდებული. 4. ბურუსი. 5. ლასო. 6. სტეპი. 7. ჯინორია. 8. ტატო. 9. გვირისტი. 10. მიხაი. 11. პროვიდენსი. 12. ბაფთა. 13. პანაცეა. 14. ჰაჯი. 15. ჰინდენბურგი. 16. ბიძგი. 17. ინტა. 18. იშვიათი. 19. ყალბი. 20. გამოსავალი. 21. ჭარმაგი. 22. ტრიბადია. 23. ქობულეთი. 24. ნურაბადი. 25. კოფო. 26. მანიჟე. 27. უშბა. 28. აბლაბუდა. 29. შპრე. 30. გადაპილპილება. 31. პალეო. 32. ბელიზი.



### მესამე გვერდი

*თარაზულად*: 1. სპეკალი. 5. ბერკამპი. 9. რაგბი. 14. ლუნაჩარსკი. 15. სპირიტიზმი. 16. რაიონი. 17. დამპატიჟე. 19. ბრესტი. 22. პროკლამაცია. 24. კოლივანოვი. 25. ურბნისი. 26. იმადედინი. 29. იგორი. 30. კენა. 31. წიწილა. 33. პაბი. 35. სტენოგრაფისტი. 39. ლეილი. 40. ატლანტროპი. 41. უშიშარი. 42. ბეთანია.

*შვეულად*: 2. პენსი. 3. კუჩინსკაია. 4. ლირა. 6. კეპოტი. 7. მერექკო. 8. იუტა. 9. რეზერვაცია. 10. გრინსბორო. 11. ინკვიზიცია. 12. კლარა ლუჩკო. 13. აკვამარინი. 18. პრიმა. 20. კალინინგრადი. 21. ბიძია. 23. რუბინშტეინი. 27. ევპატორია. 28. იობი. 32. ალიენდე. 34. ანგინა. 36. ასლი. 37. ალსუ. 38. აპკი.

### მეოთხე გვერდი

*თარაზულად*: 1. პიროგა. 4. გლიგორიჩი. 8. ლასლასი. 14. პიგმალიონი. 15. დრაგუნი. 16. გლორია. 19. ვულკანიზაცია. 20. ბროლინი. 21. გიში. 24. სტაიერი. 25. მილიონი. 26. ქინაქინა. 30. ოქრო. 31. ანდრომედე. 32. მაყვალა. 36. ანგლომა. 37. კრონეკერი. 38. გნუ. 43. სისლეი. 44. კნაჭა. 45. ძეგლი. 46. ბაროკო. 50. ტრადიცია. 51. ტრიესტი. 52. ბიატლონი. 55. ტიტესტერი. 56. სტერლინგი. 57. ტიტო. 61. სტერეოსკოპი. 62. ობერონი. 66. ლომა. 67. პასტელი. 68. გაყრა. 69. მდადე. 74. ბარმალეი. 75. ტლალოკა. 76. პიაჩენცა. 79. ძიძიშვილი. 80. პროლეტარი. 81. მზია. 85. ალატაუ. 86. გრომიკო. 87. ჰიჩკოკი. 91. პრიკველი. 92. მაკლარენი. 93. ელინი. 97. ალმაგესტი. 98. ლეონსიო. 99. ყორე. 103. ვერე. 104. თხილი. 105. დუეტი. 106. მაღარიჩი. 110. ჩაპლინი. 111. პრეტენზია. 112. პლანშე. 116. ირმისა. 117. ვენტილი. 118. ანტუანი. 122. მარიხუანა. 123. მაზანდარანი. 127. უროლოგია. 128. უკრაინა. 129. პლანშეტი. 130. ლევიტაცია. 131. გერიონი. 132. ბოლიდი.

*შვეულად*: 1. პოპოვი. 2. რეგულატორი. 3. გრადაცია. 5. ლანდაუ. 6. რერო. 7. ჩიგორინი. 9. ლალი. 10. სარდინია. 11. ფილიგრანული. 12. ხნული. 13. ფარიკაობა. 17. ლითიუმი. 18. ანტიკვარი. 22. ტიუდორი. 23. სათლი. 27. სომერსეტი. 28. ტრუმენი. 29. კანკალი. 33. ინტელიგენტი. 34. ინჟექტორი. 35. ანთოლოგია. 39. ასკანიო. 40. აჭარა. 41. ბაიტი. 42. ჰორიზონტი. 47. ვიქტორ სანეევი. 48. გესტაპო. 49. სინგური. 53. კრეონტი. 54. ჭიაბერი. 58. საკლები. 59. უკულელე. 60. გნედიჩი. 63. ამორტიზაცია. 64. ბაიკალი. 65. უდინეზე. 70. ნადირაშვილი. 71. კლერიკალი. 72. ხიტრუკი. 73. ქაღალდი. 77. ბლერი. 78. სტრიქნინი. 82. კასპაროვი. 83. უმლაუტი. 84. სკალი. 88. ალმასხანი. 89. არგენტინა. 90. ანტონიონი. 94. შეკლი. 95. მიხაი. 96. პერიმეტრი. 100. ორგაზმი. 101. მურტალო. 102. მარლონ ბრანდო. 107. ხლესტაკოვი. 108. ბრიტანიკა. 109. ჰიუნდაი. 113. ჩიმაბუე. 114. კეჩუა. 115. ქურდული. 119. ბიძინა. 120. ბაუნტი. 121. ანკერი. 124. მოსე. 125. მარე. 126. ლიხი.

### მეოთხე გვერდი. უნგრული ლაბირინთი

1. ბარძიმაშვილი. 2. მთაწმინდა. 3. ბასილაია. 4. ზაალ კაკაბაძე. 5.წუთისოფელი. 6. დავითაია. 7. იერუშალაიმი. 8. ციცინათელა. 9. გაბუნია. 10. ჯამბურია. 11. ბათუმი. 12. კავსაძე. 13. გრუზინსკი. 14. ნადირაშვილი. 15. დოიჯაშვილი. 16. დიასამიძე. 17. სტეფანე. 18. დეკანოსიძე. 19. იურმალა. 20. ონაშვილი. 21. ოქტაგონი. 22. სინაგოგა. 23. ფოცხიშვილი. 24. მიშელ ლეგრანი.

### კროსვორდი

*თარაზულად*: 9. მტრობა. 10. ტოპონიმიკა. 11. ფუნდამენტი. 12. ეპიური. 13. სიმეტრია. 14. ტორპედო. 15. ტურანდოტი. 18. აცეტონი. 21. შტატივი. 22. მარანიონი. 24. ამორო. 25. ინდულგენცია. 29. სტატისტიკა. 30. განედი. 32. უმადური. 33. აგიაშვილი.

*შვეულად*: 1. ეტიუდი. 2. ლონდრე. 3. შახმურადოვი. 4. სტანდარტი. 5. სპრინტი. 6. ინტეგრაცია. 7. ამფითეატრი. 8. სკერცო. 16. ულტიმატუმი. 17. ანტარქტიდა. 19. ნანტი. 20. ჩატურანგა. 23. უნცია. 26. გოგია. 27. ნენოვა. 28. ისკრა. 31. დილა.

### მე-10 გვერდი. სკაროსვორდო ჩემპიონატი

*თარაზულად*: 1. დურემარი. 5. ანისული. 8. ერეკლე. 13. კონტრაბასი. 14. ქსერქსე. 15. ინტი. 18. ტიგანა. 19. ვრონსკი. 20. **არბალეტი**. 23. კნატუნი. 24. **უმლაუტი**. 25. **პათიო**. 30. ობსიდიანი. 31. ბუხენვალდი. 34. ოქრო. 35. კრეტა. 36. **კარცევი**. 37. არზა. 41. **კატალიზი**. 42. **ბერტა**. 43. ორურო. 47. ფსონი. 48. ფანტომასი. 49. ქმარი. 53. კრიკეტი. 54. **ორასწლოვანი**. 58. ტიტო. 59. პარმალი. 60. ულინი. 61. ენიო. 65. **მალვოლიო**. 66. ბუალო. 67. **ემფიზემა**. 68. მარიო. 69. სალივაცია. 70. **მაშიკო**.

*შვეულად*: 1. დაკოტა. 2. რენტგენი. 3. **მარონიტები**. 4. რობა. 6. სასაკლაო. 7. ლერუ. 9. **კონგენიალური**. 10. **ერინია**. 11. ასტრა. 12. ისარი. 16. **გნომონი**. 17. კატაევი. 21. ანტიფრიზი. 22. შტრუნცი. 26. **კოკოშკა**. 27. ჯიუტი. 28. სერვერი. 29. ტიბალტი. 32. ბრუტუსი. 33. კანტემირი. 38. პლანერი. 39. **კენტი**. 40. გრომოვი. 44. ფანტომი. 45. ესესელი. 46. **გრონინგენი**. 50. სისტემა. 51. ოკეანია. 52. პლენუმი. 55. იტალია. 56. აღლუმი. 57. **ბოკაჩო**. 62. კოჭი. 63. **ელმა**. 64. **პიპა.**

### მე-11 გვერდი. ფოტოები.

1. ტეა ლეონი. 2. ვლადიმერ ბურე. 3. დიმიტრი არაყიშვილი. 4. ფედერიკო გარსია ლორკა. 5. შანდორ პეტეფი. 6. ალექსანდრე ფადეევი. 7. კეტლინ ტერნერი. 8. ენტონი ჰოპკინსი. 9. იზაბელ როსელინი. 10. მეგ რაიანი.

### მე-13 გვერდი. ფანტაზიორი.

*თარაზულად*: 1. ტალინი. 4. პოსტერი. 7. ფსიქიკა. 13. ლილიპუტები. 14. შკიპერი. 15 აბაი. 18. ოპერეტა. 19. ბუნკერი. 20. კოლიტი. 24. პაპა. 25. ტალანტი.26. დისკობოლი. 30. კარტერი. 31. კარტერი. 32. ეტნა. 36. ტრესტი. 37. ენგელსი. 38. ტვინი. 42. კვირაია. 43. არტმანე. 44. ალმური. 48. როლი. 49. ერებუნი. 50. აბორიგენი. 54. ანაკლია. 55. ბუინოვი. 56. აკუა. 60. ენიგმა. 61. დიგესტა. 62. ხარკოვი. 66. ტიკი. 67. კაუნასი. 68. მურტალო. 72. პლატინი. 73. ენერგია. 74. ორბიტა. 78. იმერეთი. 79. სტაიერი. 80. დელი. 84. მალულა. 85. ანადირი. 86. ადონისი. 90. კარგარეთელი. 91. ბადრაგი. 95. იდეა. 96. ეტა. 97. ჰიჩკოკი. 98. ტალერი. 99. ორიანი. 100. კატანია. 101. ბაზალეთი.

*შვეულად*: 1. ტელი. 2. ლოლიპოპი. 3. ნეპერი. 5. ოლბი. 6. როკოკო. 8. სარი. 9. კაბრიოლეტი. 10. შტუტგარტი. 11. სპარტიატი. 12. ფინია. 16. ბუნტი. 17. კოლბი. 21. ეპოლეტი. 22. შაგრენი. 23. მკალავი. 27. კანტორა. 28. მაქსიმა. 29. გაგანია. 33. მელვილი. 34. ჯეირანი. 35. ანალოგი. 39. შიკრიკი. 40. ანაბანა. 41. კურნიკოვა. 45. ფრაგმენტი. 46. ობსიდიანი. 47. პროვიანტი. 51. გნომი. 52. ზუსტი. 53. ფაუ. 57. ხინკალი. 58. პერსონა. 59. სკალარი. 63. ვაინერი. 64. მურილიო. 65. კასაცია. 69. ეტიმოლოგი. 70. კრატერი. 71. პირეოსი. 75. ფერმა. 76. ათინათი. 77. შრედერი. 81. ალბანეთი. 82. ადელაიდა. 83. ანაგრამა. 87. კრეტა. 88. ბასკი. 89. იაშინი. 92. ტიტო. 93. აკაი. 94. პელე.





8



9



1



20



23. - გოგონა, რატომ ილანძღები ასე საშინლად? სადაა დედაშენი?
- რად გინდა დედაჩემი, მე აქ არა ვარ?

24. ერთი კაცი უყვება მეორეს ლუდხანაში:
- ჩამოვედი მივლინებიდან და მივვარდი კარადას... ცარიელი დამხვდა. მივვარდი მაცივარს... ცარიელი დამხვდა... შევიხედე საწოლქვეშ... ცარიელი დამხვდა...
- ცოლმა რა გითხრა?
- არა, მე ცოლი არ მყავს, ბინა გამიქურდეს.

25. **Под слоем краски картины А. Куинджи "Ночь на Днепре" ученые обнаружили еще более раннее, запрещенное цензурою произведение художника: "Кама с утра"**.

26. მთიელი ხვდება მთიელს.
- რავა ხარ, ჯოტო?
- კარგად ვარ... გერმანიაში ვიყავი 10 000 მარკა ვიშოვე.
- რატომ მატყუებ, ბიჭო, შენ ცხოვრებაში ვერ მიიღებ ამდენ წერილს!

27. ცოლი და ქმარი შეთანხმდნენ, რომ ყველა ხარჯს ჩაიწერდნენ. კვირის ბოლოს ქმარი ამოწმებს ცოლის ჩანაწერს:
„ჩიტების საკენკი - 5 დოლარი, ძაღლის საჭმელი - 7 დოლარი, სხვადასხვა - 1000 დოლარი."

**28. Последние слова мясника:**
**"Лех, кинь мне вон тот ножик!"**

**29. Разбился гонщик Формулы-1. У него на могиле написали:**
**"Родился и умер от дырки в резине".**

30. ნატაშა როსტოვას ცხოვრებაში იყო ერთადერთი მამაკაცი, რომელსაც უფლება ჰქონდა მოპყრობოდა მას ისე, როგორც მოესურვებოდა. ...სახელად იმ კაცს ერქვა ლევ ტოლსტოი.




# ამით ერთობიან ინტერნეტში








30

25

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 1 | | | | | | | | 4 | 3 | | | | 4 | | 4 | | 4 | | | | | 1 | 2 | 2 | | | | |
| 1 | 1 | | | | 1 | 3 | 1 | 8 | 2 | 4 | | 8 | 4 | 3 | 4 | 3 | 4 | 3 | | 8 | | 2 | 5 | 4 | 4 | 2 | | | |
| 1 | 1 | | 2 | 2 | 1 | 4 | 5 | 2 | 3 | 1 | 8 | 1 | 3 | 1 | 3 | 1 | 3 | 1 | 8 | 1 | 8 | 5 | 1 | 3 | 2 | 3 | 3 | | |
| 1 | 1 | 5 | 3 | 4 | 3 | 1 | 2 | 1 | 2 | 3 | 6 | 4 | 6 | 4 | 6 | 4 | 6 | 4 | 6 | 4 | 6 | 6 | 4 | 3 | 1 | 2 | 3 | 4 | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 9 | 7 | 8 | 7 | 8 | 6 | 7 | 6 | 7 | 6 | 7 | 6 | 7 | 6 | 7 | 6 | 7 | 7 | 8 | 7 | 8 | 7 | 9 | 1 | 4 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | 13 |
| | | | | | | | | | | | 20 |
| | | | | | | | | | 3 | 14 | 4 |
| | | | | | | | 2 | 1 | 2 | 13 | 3 |
| | | | | | | | 2 | 1 | 6 | 6 | 2 |
| | | | | | | | 1 | 1 | 3 | 16 | 2 |
| | | | | | | | | | | | 29 |
| | | | | | | | | | | 27 | 1 |
| | | | | | | | | | | 8 | 5 |
| | | | | | | | | | | 1 | 16 |
| | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| | | | | | | | | | 1 | 1 | 14 |
| | | | | | | | | 1 | 1 | 14 | 1 |
| | | | | | | | | | 1 | 1 | 16 |
| | | | | | | | | 1 | 1 | 16 | 1 |
| | | | | | | | | | 1 | 5 | 4 |
| | | | | | | | | | 1 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 |
| | | | | | | | | | | 1 | 23 |
| | | | | | | | | | | 1 | 23 |
| | | | | | | | | | | 1 | 23 |
| | | | | | | | | | | 1 | 23 |
| | | | | | | | | | | 1 | 23 |
| | | | | | | | | | | 1 | 24 |
| | | | | | | | | | 4 | 4 | 4 |

**ამავე ნომრის პასუხები.**

**რეიტინგი (მე-2 გვერდი).** 1. მთავარი გმირი (3). 2. თავლაფდასხმული. 3. ვიაგრა. 4. რეაქტორი. 5. მილა. 6. რუ. 7. მაცა. 8. ავანსი. 9. აბისინია. 10. ათა. 11. ალალბედად. 12. მოდილიანი. 13. თავგადაკლული. 14. გოპაკი. 15. რეფორმატორი. 16. მაკრატელი. 17. ლევინსკი. 18. ფრანციუმი. 19. კომპოტი. 20. რადა. 21. არმენოლოგია. 22. ფირნიში. 23. ოსირისი. 24. ნასტია. 25. კამპომანესი. 26. ოტავა. 27. დესაი. 28. იუმანიტე. 29. შტატი. 30. ორდე. 31. ეჩო. 32. უფა. 33. მილოშევიჩი. 34. პროფესია.

**„ფანტაზიორი" (მე-16 გვერდი).** 1. „...მას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, გარდა ფულისა". 2. მსოფლიოში პირველი პატენტი. 3. ბუმერანგს. 4. პოეზია. 5. ბავშვი. 6. ცენზორი.

ი/ს „ფანტაზია-2000" (ნატალია ბერიკიშვილი). რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, № 5/1-2304.
ტელეფონები: 79-53-70, 76-68-02, (877) 45-19-80. e-mail: sashiko45@hotmail.com ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების რედაქტორობით